ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №52 (1562) 7–11 ივნისი, 1997 წელი

## ყველა ტიროდა, მაგრამ ხრუშჩოვი უიმედოდ მოსთქვამდა...



7

თბილისის ვაგზალზე პიონერები ხვდებიან ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს

## აფხაზეთის მდგომარეობის შესახებ

I. რატომ დავმარცხდით აფხაზეთში
II. მოვლენათა მოსალოდნელი განვითარება (პროგნოზი)
III. აფხაზეთის გადარჩენის რეალური გზა და საბოლოო დარეგულირება აფხაზეთში

ნოდარ ნათაძის წერილი
იხილეთ მე-5 გვერდზე



## ვინ და რისთვის კორტნის თემურ შაშიაშვილს?

3

## ვის შევკივლო? რუსთაველი, უკატრავად, სამართალი მკვდარია!..

2

## კარვის ქალებმა დანწ ვეს „ვეფხისტყაოსანიც“

6

## პროკურატურამ ბეწვის ხიდი გადაიარა

2

### „მდუღარე პიკეტი“ აყალ-მაყალში გადაიზარდა

გუშინ, „კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტმა“, აკ. ხორავას მსახიობის სახლის წინ, სადაც მოქალაქეთა კავშირით ეგიდით, მოქალაქის კვირეულისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო მიმდინარეობდა, „მდუღარე პიკეტით“, ამ საღამოსადმი თავიანთი დამოკიდებულება გამოხატა. მოპიკეტეებს, ლოზუნგებთან ერთად, თან ჰქონდათ „სამარცხვინო ბოძი“, რომელზეც, მათი თქმით, შევარდნაძის კარის პოეტები და მაძღარი მწერლობა გააკრეს. მათ შორის იყვნენ გურამ ფანჯიკიძე, იზა ორჯონიკიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ლაშა თაბუკაშვილი, მურმან ლებანიძე, ჭაბუა ამირეჯიბი და სხვ. მწერალთა რიცხვი 26 იყო. მოპიკეტეთა თქმით, ამ მწერლებმა დიდი როლი ითამაშეს საქართველოს „კანონიერი ხელისუფლების“ დამხობაში, ხელი შეუწყეს ქვეყნის კატასტროფამდე მიყვანას და დღეს, „გამათხოვრებულ საქართველოში ზეიმობენ“.

მოპიკეტეებმა დარბაზში შესვლა დააპირეს, რათა მოესმინათ „ვაი პოეტების პატრიოტული ლექსები“, მაგრამ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლებმა, რის გამოც „მდუღარე პიკეტი“ აყალ-მაყალში გადაიზარდა. ხანგრძლივი შეხლა-შემოხლის მიუხედავად, მათ დარბაზში შესვლა ვერ მოახერხეს. ამჯერად, მოპიკეტეები დაკმაყოფილდნენ იმით, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დააფიქსირეს მათი პოზიცია და დაიშალნენ.

სიტუაციას აკონტროლებდა მთაწმინდის რაიონის პოლიცია, რომელთა მხრიდან ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. (იფრინდა)

### „ჯარის წვრთნას ჩვენ ვერ შევაჩერებთ“

გუშინ, საქართველოს პრეზიდენტთან შედგა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა, მეცნიერთა, პარლამენტართა და სასულიერო პირთა საკონსულტაციო შეხვედრა, რომელზეც განიხილეს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და ალგეთის სამხედრო პოლიგონზე შექმნილი მდგომარეობა.

სამხედროების განცხადებით, დღეისათვის საქართველოში არ არის სამხედრო პოლიგონისათვის ხელსაყრელი ადგილი, სადაც შეიძლება სრულფასოვანი სამხედრო წვრთნების ჩატარება. მათი თქმით, ახალი პოლიგონის აღჭურვილობა სახელმწიფო ხაზინას 75-80 მლნ. დაუჯდება.

გამომსვლელებმა მეცნიერებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ სამონასტრო კომპლექსის მახლობლად აუცილებლად უნდა შეწყდეს სამხედრო მანევრები, რადგან ეს აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს კულტურის ამ უნიკალურ ძეგლს.

თავდაცვის მინისტრმა ვ.ნადიბაიძემ განაცხადა, რომ ჩაიშალა ორი სრულმასშტაბიანი სწავლება, რაც ქართული ჯარის უსაფრთხოებას აყენებს ზიანს, მაშინ, როდესაც ქვეყანა პრაქტიკულად საომარ მდგომარეობაში იმყოფება. მან თხოვნით მიმართა დამსწრეთ, ჩატარდეს ექსპერიმენტი, რომელზეც მიიწვევენ მეცნიერებს. მინისტრმა აღუთქვა მათ, რომ შეასრულებს ყველა მითითებას. მისი თქმით, საჭიროა გაირკვეს თუ რა სახის იარაღის გამოყენება შეიძლება სწავლებების დროს, ასევე დართონ მას ნება, გადაიყვანოს ჯარი პოლიგონზე, რომლებიც ვ.ნადიბაიძის მტკიცებით, სროლებს არ აწარმოებენ. (იფრინდა)

## რუსეთის ელჩი თავს იკავებს

რუსეთის ფედერაციის ელჩმა საქართველოში ფელიქს სტანევსკიმ, უკანასკნელი კვირის განმავლობაში რუსეთის ელექტრონული მასმედიის მიერ რუსეთ-საქართველოს შორის ვითარების ხელოვნური დაძაბვის კომენტარისაგან თავი შეიკავა. „მოამბე-ექსპრესის" კორესპონდენტთან ელჩის საუბარში გაირკვა, რომ მას კარგად ესმის რუსეთის პოლიტიკოსთა გაღიზიანების მიზეზი, რომელიც საქართველოს პარლამენტის აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნას უკავშირდება. ბ-ნ ელჩს ისიც კარგად მოეხსენება, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება შეიძლება ძალაში შევიდეს 28 მარტის სამიტის გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

„ჩემი საჯარო გამოსვლა შეიძლება მომგებიანიც იყო და შეიძლება პირიქით" - განაცხადა ფელიქს სტანევსკიმ და კორესპონდენტთან საუბრის თავაზიანი დამშვიდობებით დასრულება იჩქარა. (მოამბე-ექსპრესი)

## კონსტანტინე ოზგანი ოცნებობს

გუშინ, სეპარატისტული აფხაზეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი კონსტანტინე ოზგანი გალის სეპარატისტული ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ერთად რაიონის ერთ-ერთ გზისპირა სოფელში ადგილობრივი მოსახლეობის მცირერიცხოვან ჯგუფს შეხვდა, რომელსაც საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება მოუწოდა.

„მოამბე-ექსპრესის" ზუგდიდელი კორესპონდენტის ცნობით, გალის რაიონში ჩასულმა კ.ოზგანმა სოფლის მცხოვრებლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს როგორც ორ დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს შორის. მან უახლოეს მომავალში რუსეთის სამშვიდობო ძალების გადაადგილების შესაძლებლობა კატეგორიულად უარყო.

## „მწვანეებმა" პრესა დისკრედიტაციაში დაადანაშაულეს

„საქართველოს მწვანეთა ორგანიზაცია" ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც მთელი მაფია ებრძვის - აღნიშნა საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრმა, პროფესორმა გიორგი გაჩეჩილაძემ გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე. მან საყვედური გამოთქვა ამ ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებული იმ პუბლიკაციების გამო, რომლებიც, გაჩეჩილაძის თქმით, მიზნად საქართველოს მწვანეების დისკრედიტაციას ისახავს. მომხსენებელმა ასევე ვრცლად ისაუბრა საქართველოს ეკოლოგიურ პრობლემებზე, კერძოდ, ხუდონჰესსა და მდინარე ჭოროხზე კაშხლების სავარაუდო მშენებლობის ირგვლივ. (მოამბე-ექსპრესი)

## პროკურატურამ ზეწვის ხიდი გადაწვა



*რედაქციისაგან: დღესაც შიშის ზარი სცემს ადამიანს, როცა ახლო წარსულიდან სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირების, საძმოების აულაგმავი პარპაში ახსენდება. შებინდებისას ხალხი გამალებული მიიჩქაროდა სახლებისაკენ, რათა უსინათლო, ჩაკუნაპეტებულ ღამეში ქუჩაში არ აღმოჩენილიყო და თითქმის ყოველ უბანში ამტყდარ ავტომატების კაკანს უნებლიედ მისი სიცოცხლე არ შეეწირა.*

*მოქალაქეთა თვალწინ შეუნიღბავად, დღისით, მზისით, რესტორნებში, ბარებში, ქუჩებში, სადარბაზოებში ხდებოდა მკვლელობები და თვითმხილველნი კრინტს ვერ ძრავდნენ შიშით, მკვლელის ვინაობას არავის უმხელდნენ. დაუცველნი იყვნენ და კარგად უწყოდნენ რა დაემართებოდათ, თუ ამ ბანდების ყურადღებას მიიქცევდნენ. აღარაფერს ვამბობთ ქონების ძარცვაზე, პროცენტიანი ვალების საქმეების გარჩევებზე და ათასგვარ უბედურებებზე.*

*რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებიც, კაცმა რომ თქვას, ისევე დაუცველნი არიან, როგორც რიგითი მოქალაქენი, მაგრამ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბანდების საქმიანობის აღკვეთაში გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა თავი გადასდო. ის ძალები, რომელთა თარეშის აღმნუსხველმა ფაქტებმა ასეულობით ტომი შეადგინა, მალე სასამართლოს წინაშე წარსდგებიან. რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ბრალდების მრავალტომეულებს უკვე ხელი მოაწერა.*

*საზოგადოებას, პრესას, სამართლიან კრიტიკასთან ერთად უნდა შეეძლოს სამადლობელი სიტყვის გულუხვად გამეტებაც იმ საკითხში, რაშიც სამართალდამცავენი ამას იმსახურებენ.*

## ჟურნალისტები გენერალურ პროკურორთან

6 ივნისს საქართველოს პროკურატურაში ჯ.ბაბილაშვილმა მასმედიის წარმომადგენლებს პრესკონფერენცია გაუმართა. გენერალურმა პროკურორმა ჟურნალისტთა აუარებელ კითხვებს უპასუხა. საუბრის ლაიტმოტივი 1995 წლის 29 აგვისტოს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, რომლის მონაწილეები იყვნენ: ხარიშვილი (უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსის მოადგილე); ჯ.იოსელიანი (მაშველთა კორპუსის საპატიო თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი წევრი); გ.გელაშვილი (მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე); კვეზერელი, გოგიტიშვილი და სხვები. შეთქმულების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ რეჟიმის შეცვლა ხელისუფლების ხელყოფით. სქემა - თუკი მოხდებოდა პრეზიდენტის ხელყოფა, ამ შემთხვევაში იგორ გიორგაძეს ხელისუფლებისაკენ გზა ხსნილი ჰქონდა.

„როცა ლაპარაკია ჯაშუშობაზე, სახელმწიფოს დამხობასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე, - ამ ქმედებას ეწოდება სამშობლოს ღალატი. ეს არის ერთი მომენტი. მეორე - ის ძალები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ამ შეთქმულებაში. სახელმწიფო უშიშროების უფროსმა ი.გიორგაძე, მხედრიონი, მისი ხელმძღვანელობა და სხვა ძალები, რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიურად მხარს უმაგრებდნენ და რომლებიც არიან აქტიური მოქმედი პირნი" - ბრძანა გენერალურმა პროკურორმა. მან ამასთანავე ისაუბრა ადამიანის უფლებების შესახებ და აღნიშნა, რომ ბრალდებულებთან სხვადასხვა მისიის, ევრო-საბჭოს, წითელი ჯვრის თუ ჟურნალისტთა შეხვედრებისას თქმული მოწმობს იმას, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

კითხვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი გიორგაძის დაკავება, გენ.პროკურორმა უპასუხა, რომ მიმდინარეობს ყოფილი უშიშროების უფროსის და 15 პირის ძებნა და მათი საქმე ცალკე წარმოებაშია. ი.გიორგაძის გადმოცემასთან დაკავშირებით გარკვეული მუშაობაა ჩატარებული.

ჯ.ბაბილაშვილი ესაუბრა რუსეთის გენერალურ პროკურორს, რომელსაც არავითარი პრეტენზია არ გააჩნია და საქართველოს გენ.პროკურორის მოთხოვნას კანონიერად თვლის. საყურადღებოა ბოლო დროს სახელმწიფოს პრეზიდენტის განცხადება, - „რუსეთს რა ურჩევნია - ერთი ტერორისტი თუ საქართველოსთან კარგი ურთიერთობა".

გენერალური პროკურორის თქმით, სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეები ვერ აცდებიან პასუხისმგებლობას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჯაბა იოსელიანს ასაკის გამო უმაღლესი სასჯელი არ ემუქრება.

პრესკონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა მომავალი სასამართლო პროცესის შესაძლებელ დახურულ წარმოებაზე, რაზეც დიდად იმოქმედა 2 ივნისს უზენაეს სასამართლოში მომხდარმა ინციდენტმა - ბრალდებულ მ.სამსონაშვილის გაქცევამ. რაც შეეხება მასმედიის დასწრებას სასამართლო პროცესზე, ამ საკითხს სასამართლო გადაწყვეტს.

**ია ბუკოვსკაია**

● მკითხველთა წერილები

## ვის შევჩივლო? რუსთაველი, უკაცრავად, სამართალი მკვდარია!..

ნაზეთ „საქართველოს" მთავარ რედაქტორს ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს

ღრმად პატივცემულო ბატონო ნოდარ!

მაღალი თანამდებობის უსულგულო, მწვალებელ ბიუროკრატთა მიერ ჩემი კონსტიტუციური და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის შედეგად სილატაკემდე და მორალურ განადგურებამდე მიყვანილი მოგმართავთ თხოვნით - გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე ჩემი წერილი.

1992-1993 საომარი წლების განმავლობაში ჩემი მასალებით აღვადგინე საპარლამენტო სხდომათა დარბაზისა და მიმდებარე დერეფნების თაბაშირის ურთულესი ორნამენტები, მაგრამ დამკვეთმა, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სამეურნეო სამმართველომ (უფროსი ბ-ნი ნუგზარ რუხაძე) და გენერალურმა მოიჯარადრემ, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მე-13 სამშენებლო ტრესტმა (მმართველი ბ-ნი კოტე მხეიძე) მხოლოდ მასალების შესაძენი თანხები ჩამოგვირიცხეს. იძულებული გავხდი ამელო ვალები, რათა გამესტუმრებინა მუშების ხელფასი და სხვა აუცილებელი გადასახადები. ბოლოს, ამ ვალების გასასტუმრებლად, მევახშეებმა მაიძულეს გამეყიდა აწ გარდაცვლილი ჩემი მამის მიერ აშენებული და ჩემზე ნაანდერძევი ჩემი ოჯახის საცხოვრებელი ორსართულიანი სახლი თავის ეზოთი და საწარმოსასაწყობო მეურნეობით, სულ 18200 დოლარად და ეს თანხა გადავუხადე მევახშეებს.

მას შემდეგ მეუღლითა და ორი მოზარდი შვილით უსახსროდ და უსახლკაროდ დავწანწალებთ კარდაკარ.

საქართველოში სტაბილიზაციის დადგომისთანავე, ჩვენს მიერ წარდგენილი, ნაძალადევის რ-ნის პროკურატურის შუამდგომლობით, სასარჩელო განცხადების განხილვის შედეგად, საქართველოს უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ 25.04.96 წ. №11/88 გადაწყვეტილებით მოპასუხეს დააკისრა ჩვენს სასარგებლოდ 68252 ლარის გადახდა. მაგრამ მის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაყალბებულად გამოცხადების გზით ბ-ნმა კოტე მხეიძემ გააუქმებინა ეს გადაწყვეტილება სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ამირან ფრუიძეს ზუსტად დამკვეთისაგან ტრესტის ანგარიშზედ 70000 ლარის ჩამორიცხვის მომენტისათვის, და ჩვენი თანხა ვერ მივიღეთ.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, ჩემმა საჩივარმა კვლავ იარა ინსტანციიდან ინსტანციაში. დადებით პასუხებს ისევ უარყოფითი ცვლიდა, სამუშაო შევასრულე, თანაც სად, პარლამენტში. გადახდას კი არა და არ დაადგა საშველი. ვერსად სამართალი ვერ ვიპოვე. უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარემ, ბ-ნმა იოსებ ბაჩიაშვილმა და მე-13 ტრესტის მმართველმა ბ-ნმა კოტე მხეიძემ თავიანთ „სიძლიერეში" ჩემი დარწმუნების გზით, ისედაც გაუსაძლის ეკონომიურ თუ მორალურ მდგომარეობაში მყოფი, რადგან გაჭირვებამ გამაყიდინა ყველაფერი, რაც გამაჩნდა, ჩვენი საოჯახო ავეჯის, ჭურჭლეულისა და ტანსაცმლის ჩათვლით, მაიძულეს ხელი მომეწერა მათ მიერ შეთხზულ, ეგრეთწოდებულ ურთიერთშეთანხმების ტექსტზე, რომელიც ბ-ნ ტარიელ ზამბახიძის კარნახით დავწერე. ამის საფუძველზე საარბიტრაჟო სასამართლომ 3.12.96 №8/66 განჩინებით დააკისრა მე-13 ტრესტს ჩვენს სასარგებლოდ 12665 ლარის გადახდა,რაც დღემდე არ მომხდარა, თუმცა ბ-ნი კოტე მხეიძე ამ თანხის გადახდას 1996 წლის 10 დეკემბრამდე „თბილისელი კაცის" სიტყვით დაგვპირდა.

ძვირფასო რედაქციავ, როგორც ხედავთ, სამართალი ჩემთვის ბრმა აღმოჩნდა. ის გამეათევებული თანხაც არავინ მაღირსა, რის გადახდაზეც თავადაც სიხარულით განაცხადეს თანხმობა. ვის შევჩივლო რუსთაველი მკვდარია, მაგრამ სინდისი, პასუხისგებლობა, სიბრალული, ყველაფერი ჩაკვდა ამ ჩვენი ჩინოვნიკების გულში?

**ილია ხარიძე**

## პროტესტი ახალი იმპერიის შექმნასთან დაკავშირებით

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა, საერთაშორისო ამნისტიის წევრმა გიორგი კერვალიშვილმა, მიმართვა გაუგზავნა მსოფლიოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიულ ინსტიტუტებს.

მიმართვაში ნათქვამია: „23 მაისს, მოსკოვში მოხდა რუსეთ-ბელორუსიის ე.წ. გაერთიანება, ანუ გაღრმავებული ინტეგრაცია, რის შედეგადაც ბელორუსიამ ფაქტობრივად დაკარგა სუვერენიტეტი და რუსეთის ფედერაციის ნაწილი გახდა. ეს აქტი განხორციელდა ბელორუსიაში ადამიანის და ერის უფლებათა სისტემატური და უხეში დარღვევების ფონზე. დიქტატორ ლუკაშენკოს რეჟიმმა დააპატიმრა მრავალი ოპონენტი". განცხადების ავტორის ვარაუდით, ეს ბედი დსთ-ს სხვა ქვეყნებსაც მოელის, მათ შორის საქართველოსაც, მითუმეტეს, რომ „საქართველოს ხელისუფლებაში კომუნისტური მენტალიტეტის ადამიანები არიან".

ასოციაცია მტკიცე პროტესტს გამოთქვამს პოსტკომუნისტური ინტეგრაციის ახალი იმპერიის შექმნის ცდასთან დაკავშირებით და მიმართავს მსოფლიოს დემოკრატიულ და პროგრესულ საზოგადოებრიობას, სამართალდამცავ ორგანოებს - დაგმონ 23 მაისის აქტი, ბოიკოტი გამოუცხადონ ლუკაშენკოს ანტიდემოკრატიულ ხელისუფლებას და იღვაწონ ბელორუსიაში ყველა პოლიტპატიმრის გასათავისუფლებლად. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მკვლელობა „საქპიდრომშენის“ დასახლებაში

ამირან კუტალიამ, ვალის გადაუხდელობის გამო, 5 ივნისს, ურთიერთშელაპარაკების დროს, ავტომატ აკს-დან გასროლით მოკლა „საქჰიდრომშენის“ დასახლებაში, გუმათჰესის ქუჩის მეორე კორპუსში მცხოვრები ლალი ჯაშიაშვილი, დაჭრა მისი მეუღლე იური ჯაშიაშვილი და შვილი, 20 წლის მაია ჯაშიაშვილი, რომლებიც ქალაქის მეხუთე საავადმყოფოში მოათავსეს. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს შსს-ს პრეს-ცენტრიდან აცნობეს.

ა.კუტალია დანაშაულის ჩადენის შემდეგ, თავის დროებით საცხოვრებელში მივიდა და თვითმკვლელობის მიზნით, ავტომატიდან გასროლით მიიყენა ჭრილობა. იგი მეხუთე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ვალის რაოდენობა დგინდება. მიმდინარეობს გამოძიება. (იფრინდა)

## სოფლებში პასუხს ადგილობრივი ხელმძღვანელობა აგებს

ზუგდიდში არსებული რეზერვების ამოქმედებას უფრო სუბიექტური ფაქტორები უშლის ხელს, ვიდრე ობიექტური. ამის შესახებ განაცხადეს ზუგდიდის მერიაში გამართულ თათბირზე, რომელზეც სოფლის მეურნეობის პრობლემებს შეეხნენ.

როგორც ითქვა, სოფლის ბევრი ხელმძღვანელი ვერ მოერგო დღევანდელ ყოფას და თუ სოფლებში მდგომარეობა საგრძნობლად არ გამოსწორდა, საქმე მარტო სამსახურიდან დათხოვნით არ დამთავრდება (მოამბე-ექსპრესი)

## ომი კერი აცხადებს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით აშშ-ს პოლიტიკა უცვლელია

„აშშ-ს საელჩოს არანაირი წერილობითი თუ ზეპირი განცხადება არ გაუკეთებია, რომელშიც მხარს უჭერს აფხაზეთის დამოუკიდებლობას“ – განაცხადა „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოში ამერიკის საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშემ ომი კერიმ.

ამ განცხადების მიზეზი გახდა გაზეთ „მსგეფსში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ვაშინგტონმა თბილისს აფხაზეთის პრობლემის იმდაგვარი გადაწყვეტა შესთავაზა, რომელიც სეპარატისტული რეჟიმის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას ითვალისწინებს.

დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ქართველ ნაციონალისტთა მოძრაობის ლიდერმა გია მამალაძემ განაცხადა, რომ მან შეკითხვით მიმართა ამერიკის ელჩს საქართველოში, ოფიციალურად და საჯაროდ უარყოს ან დაადასტუროს ეს ინფორმაცია.

აშშ-ს საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშეს განცხადებით, ამერიკის პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეცვლილა. „ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას“ – განაცხადა ომი კერიმ.

# ვინ და რისთვის კოორტნის თემურ შაშიაშვილს?

*„დილის გაზეთმა“ ა.წ. 20 მაისს გამოაქვეყნა ბატონ დიმიტრი კვალიაშვილის წერილი „შაშიაშვილი გამძვინვარდა“. წერილში საუბარია იმერეთის ზონაში პრეზიდენტის რწმუნებულზე, ბატონ თემურ შაშიაშვილზე.*

წერილის ამ ნაწილით თუ განვსჯით მისი ავტორის, ბატონ დიმიტრი კვალიაშვილის პოზიციებს, როგორი საწყენიც არ უნდა იყოს მისთვის, უნდა ვთქვათ, რომ იგი იმ ისტორიული პიროვნების თანამედროვე განსახიერებაა, რომელიც (სამწუხაროდ, რომლებიც) ხშირად ჩასჩიჩინებდნენ მეფეებს ქვეყანაში გამორჩეულ-გამორჩეულ ადამიანთა მოშორებაზე, მუდმივად ეჭვსა და უნდობლობას აღვივებდნენ მეფის თვალში ქვეყნისათვის თავდადებულ მამულიშვილებზე. აი, თუნდაც შადიმანი და მისი ამალა...

ბატონო დიმიტრი!

ბატონი თემურ შაშიაშვილის გამოსვლა ჩვენც არა ერთხელ მოგვისმენია, მაგრამ არასდროს და არცერთხელ არ გამოუთქვამს მას რაიმე ეჭვი პრეზიდენტის მიმართ, პირიქით, მისი სიტყვაც და საქმეც მუდამ პრეზიდენტის წისქვილზე ასხამს წყალს და იმ კურსის რეალიზატორია, რომელიც პრეზიდენტს უჭირავს ქვეყნის მართვაში. აბა გაიხსენეთ პრეზიდენტის სიტყვები: „მოდით, ერთხელ მაინც კაცურად ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და სხვა არაფერი“. და შეადარეთ ამ სიტყვების შინაარსი ბატონ თემურ შაშიაშვილის სიტყვასა და საქმესთან?..

როცა ბატონი თემურ შაშიაშვილი პრეზიდენტის თანდასწრებით და მის გარეშეც ქვეყანაში მიმდინარე კორუფციასა და მტაცებლობაზე ხმამაღლა ლაპარაკობს, ხაზგასმით და გაბედულად ამბობს, რომ კორუფცია მძვინვარებსო და საკადრო პოლიტიკას უწუნებს პრეზიდენტს, ეს პოპულიზმია თუ პრეზიდენტის კურსის ერთგულება?

გვაპატიეთ, მაგრამ თქვენ (ბატონო დიმიტრი) და ჩვენ (წერილზე ხელისმომწერებს) სხვადასხვა წარმოდგენები გვქონია „პოპულიზმზე“.

თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ცუდ კონტექსტში რომ არ ხმარობდეთ ამ სიტყვას, სასაყვედურო შეიძლება არაფერი ყოფილიყო. მაგრამ როცა ამბობთ: „თ.შაშიაშვილის აგრესიული პოპულიზმი შუა საუკუნეების ფეოდალურ ამბიციებს გვაგონებსო“ – მოუკრეფავში გადადიხართ. გამოგდით, თითქოს შაშიაშვილი მხოლოდ თავის გამოჩენის მიზნით აკეთებს ყველაფერს და ამაზეა ორიენტირებული მთელი მისი მოქმედება. გეკადრებათ?

რამდენადაც ჩვენ ვიცით, შაშიაშვილს თვითრეკლამა არ სჭირდება. მის გამოსაჩენად საკმარისია თუნდაც ის, რომ რესპუბლიკის მეორე ქალაქ ქუთაისში ყველა ქალაქთა შორის (მათ შორის თბილისიც იგულისხმება), უკეთესი სისუფთავე და წესრიგია, რომ ქუთაისელი მასწავლებლის ხელფასი ორჯერ და უფრო მეტად აღემატება თბილისელისას, რომ სამარშრუტო ტაქსებს მგზავრები 15 თეთრად გადაჰყავთ, ავტობუსი 6 თეთრი ღირს და ტროლეიბუსით მგზავრობა 3 თეთრი.

გაგრძელება მე-4 გვ.

# „პოტიომკინის სოფლები“ თავისუფლების მოედანზე

ოთხშაბათს, 4 ივნისს, დღის 11.30 წუთზე თავისუფლების მოედანზე (პუშკინის 4) წიგნის მაღაზია „მერანის“ ფილიალის ჭერი მთლიანად ჩამოინგრა.

ამ უბნის მაცხოვრებლებს კარგად ახსოვს 2 წლის წინ ამ სახლის სახურავზე გაჩენილი ხანძარი, რომელიც ძლივს ჩააქრო სახანძრო სამსახურმა. მას შემდეგ სახურავი არავის გადაუხურავს, მესამე სართულზე არსებული პოლიკლინიკა და სანოტარო კანტორა ვერ ფუნქციონირებდა. თუმცა ქალაქის მერიამ რატომღაც შუშები ჩასვა ყველა სართულზე და გარედანაც შეღება სახლი, მაგრამ სახურავი არ გადაუხურავს. მერიის ასეთი მონდომება, „პოტიომკინის სოფლების“ XX საუკუნის ახლებურ, ნეოკომუნისტურ გამოხატულებას უნდა დავაბრალოთ, თორემ ყველამ კარგად უწყის, თუ სახლს ჭერი და ფუნდამენტი არ უვარგა, მას ფანჯრების ჩასმა და შეღებვა ვერ უშველის. აწვიმდა და ათოვდა სახლს. ზემო სართულიდან თანდათან წვებოდა წყლით გაჟღენთილი ბათქაში, აგური და დაობებული ხის მასალა. 4 ივნისს კი ვეღარაფერმა შეაჩერა და ერთბაშად იხუვლა ჭერმა. მაღაზიის შეშფოთებულმა თანამშრომლებმა კარს მიაშურეს და სასწრაფოდ გადარჩნენ. ზემო სართულებიდან ჩამოწოლილმა სახლის კედლებმა თან ჩაიტანა უძვირფასესი საკანცელარიო საქონელი, ქსეროქსის მაღალი ხარისხის ქაღალდი, კომპიუტერები, კალკულატორები და სხვა წვრილმანები, რომლებიც საკმაოდ ძვირადღირებულია. ზარალი დაახლოებით 50000 ლარს შეადგენს.



მაღაზიის სექციის გამგემ გურამ რომანიშვილმა გვითხრა:

*– ჩვენ ვიყავით „საქწიგნის“ კრწანისის რაიონის ზონალური გაერთიანება. შემდეგ, როდესაც სამონაწილეო ფორმა იცვლებოდა, ჯერ ვიყავით საიჯარო გაერთიანება და მოგვცეს მაღაზია იჯარა-გამოსყიდვის წესით. დღესდღეობით ვართ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმა.*

*– შენობა თქვენია?*

*– არა, ეს ფართობი საქწიგნის ბალანსზე ითვლება. მხოლოდ ესაა, რასაც ხედავთ, დანარჩენი შენობა სხვებს ეკუთვნის. ჩვენ ვერ შევძლებდით გაგვემაგრებინა, სანამ დანარჩენ სართულებს პატრონი არ გამოუჩნდებოდა. ეს პატრონი არ ჩანს.*

*– ახლა რას აპირებთ?*

*– ახლა იძულებული ვართ ჩამოწოლილი ნაწილი გადავტიხროთ და ისე ვიმუშაოთ. შემდეგ ალბათ წილობრივად შევალთ და დანარჩენი სართულების მეპატრონეებთან ერთად შევძლებთ აღვადგინოთ შენობა.*

წიგნის მაღაზიის თანამშრომლები აღშფოთებული იყვნენ ქალაქის მერიის წარმომადგენლის უცერემონიო განცხადებით, აქაურობა უნდა დატოვოთო. გასაგებია მათი გულისტკივილი, რომელსაც ახლომდებარე უბნების მოსახლეობაც უერთდება, რადგან ამ ტერიტორიაზე ეს არის ერთადერთი წიგნის მაღაზია, სადაც იყიდებოდა როგორც ქართული გამოცემები, ასევე მსოფლიო კლასიკა და სახელმძღვანელოები, ერთი სექცია კი დათმობილი ჰქონდა საკანცელარიო ნივთებს. ამდენად მყიდველს, მითუმეტეს მოსწავლეთა მშობლებს შორს წასვლა არ სჭირდებოდათ სასკოლო ნივთებისა და ლიტერატურის შესაძენად. როგორც ქალბატონმა ქუქუნა გულაშვილმა გვითხრა, შენობის სახურავზე ხანძრის გაჩენის შემდეგ თითქმის შევარდნაძემდეც მივიდნენ, მაგრამ შენობას პატრონი ვერ გამოუჩნდა: მერია ჯანმრთელობის სამინისტროს აბრალებდა უმოქმედობას, რადგან მესამე სართულზე პოლიკლინიკა იყო განთავსებული, ხოლო ჯანმრთელობის სამინისტრო ქალაქის მერიას. ქალაქის მერიის წარმომადგენელმა კურცხალიამ კი წიგნის მაღაზიის თანამშრომლებს უთხრა, რომ შენობა ბანკს გადაეცაო, ბანკის მესვეურებმა კი რემონტზე უარი თქვეს, რადგან პოლიკლინიკა ფართობს არ თმობდა. როგორც ეტყობა, ამ გაურკვეველი სიტუაციიდან ყველაზე მეტად მაინც მოქმედი მაღაზია დაზარალდა, რადგან მათ გამოსახლებით ემუქრებიან.



თავისუფლების მოედანზე კი ლამაზად ჩამწკრივებულა საუკუნის დასაწყისის მოდერნის სტილით აგებული შენობები. გარედან ერთი მხარის გალამაზება (ბანკის შენობა) უკვე დამთავრდა, მაგრამ რა ხდება შიგნით? იმპერატრიცა ეკატერინა პოტიომკინის სოფლებმა ვერ მოატყუა, მაგრამ არც დიდად შეუწუხებია თავი, რადგან ის ადგილები დედაქალაქ პეტერბურგიდან საკმაოდ შორს იყო...

**მანანა იაშვილი**

## ქართველები და აფხაზები ერთად მუშაობენ

ენგურჰესზე მიმდინარე აღდგენით სამუშაოებში, რომელსაც ძირითადად ქართველი ენერგეტიკოსები ასრულებენ, მხარეთა შეთანხმების თანახმად გვირაბების შემაერთებელი არხების გარკვეული მონაკვეთების აღდგენით სამუშაოებზე დასაქმებულნი არიან საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სოხუმში ფუნქციონირებული მეექვსე საამშენებლო ტრესტის აფხაზი ეროვნების მშენებლები. (მოამბე-ექსპრესი)

## მისიის ხელმძღვანელი აფხაზეთიდან დევნილების ბედით დაინტერესდა

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ყოფილი წარმომადგენელი აფხაზეთში ტერე ბორიზანი, რომელიც ამჟამად ბელორუსიაში გაეროს მისიას ხელმძღვანელობს, ბელორუსიაში მყოფ აფხაზეთიდან დევნილთა ბედით დაინტერესდა.

მის მიერ ქალაქ გროდნოში გახსნილ სპეციალურ ჯგუფებში, აფხაზეთიდან დევნილ ქართველ ბავშვებს – საშუალება აქვთ ისწავლონ ქართული ენა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. (მოამბე-ექსპრესი)

## კანონის გამკაცრებამ ბიუჯეტს არგო

ქვეყნის ბიუჯეტში საბაჟო სამსახურის მიერ შეტანილი თანხების 60% თბილისის საბაჟოზე მოდის – განაცხადა „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში თბილისის საბაჟოს უფროსის მოადგილემ გურამ გრიგოლიაშვილმა. მისივე თქმით გასულ წელს დედაქალაქის საბაჟოს სამსახურმა სახელმწიფო ხაზინაში 43 მილიონ 600 ათასი ლარი, ხოლო წლეულს 5 თვეში 40 მილიონ 100 ათასი ლარი შეიტანა. ეს კი ტვირთბრუნვის მკვეთრმა ზრდამ და საბაჟო კანონის გამკაცრებამ გამოიწვია.

## დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახადები შემოიღო

თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა, საქართველოს პარლამენტის მიერ პირველ მაისს მიღებული კანონის შესაბამისად, დედაქალაქის ტერიტორიაზე შემოიღო ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახადები, რომლებიც შეეხება ავტოტრანსპორტის პარკირებას, რეკლამას და სამეწარმეო საქმიანობას.

დადგენილების თანახმად, ქალაქის ტერიტორიაზე და გზებზე ავტოტრანსპორტის მოსაკრებლები განისაზღვრა 20 თეთრით, საწარმოების, რომელთა ძირითად საქმიანობასაც ავტოტრანსპორტის პარკირებით მომსახურების გაწევა წარმოადგენს, დაწესებულია გადასახადი მომსახურების ღირებულების 15 პროცენტის ოდენობით დღგ-ს გარეშე.

რეკლამის გადასახადი შეადგენს რეკლამის დამზადებისა და გავრცელებაზე გაწეული სამუშაოებისა და მომსახურების ღირებულების 10%-ს დღგ-ს გარეშე.

სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადი განსაზღვრულია სამეწარმეო წარმოებისათვის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 0,6%-ით დღგ-ს გარეშე, ხოლო ყველა სხვა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის (მეწარმისათვის, იურიდიული და ფიზიკური პირისათვის) პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 1%-ით დღგ-ს გარეშე. (მოამბე-ექსპრესი)

# ვინ და რისთვის კორტნის თემურ შაშიაშვილს?

მესამე გვერდიდან

ცოტაა? თბილისში? რუსთაველიდან დიდ დილომში ხშირად ფეხით დადის წამყვანი მეცნ. მუშაკი იმიტომ, რომ სამგზავრო 50 თეთრი არა აქვს ჯიბეში...

ბატონი თემურ შაშიაშვილი დღე და ღამე რომ გაიძახის, წარმოებები თუ არ ავამუშავეთ და საკუთარი პროდუქცია არ ვაწარმოეთ, ჯიბურიდან – ჯიბურში გადატანილი საქონლის ვაჭრობით შორს ვერ წავალთო, ტყუილია? ან პოპულიზმი ჰქვია ამას?

თუ ეს პოპულიზმია, მაშინ რა დავარქვათ ადამიანებს, რომლებიც კარგად ხედავენ, რომ ქვეყნის ურემი გაჩერებულია ან ძლივს მიგორავს, ხალხი მშიერ-მწყურვალი დაწანწალებს ლუკმა პურის მოსაპოვებლად. „ქვეყნის ტვინი" – ინტელიგენცია სულს ღაფავს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხენ და სხვათა გასაგონად ქადაგებენ: „საქმე წინ მიდის", „დემოკრატია დამკვიდრდა" და სხვა. ისაა დემოკრატია, რაც 26 მაისს მოხდა? თავპირდამტვრეული ადამიანები რომ მიმოფანტეს?..

ბატონო დიმიტრი, შეიძლება დაგიფასონ კიდევაც ასეთი ქცევა „ძლევამოსილმან ამა ქვეყნისამ" და შესაბამისი ჯილდოც მოგართვან თქვენ ან თქვენს გულშემატკივარ იმ ადამიანებს, ვინაც ამ სტატიის გამოცხობა შეგიკვეთათ, მაგრამ ხალხმა უნდა შეგაფასოთ და დაგაფასოთ და არა ერთეულებმა! ესაა მთავარი. გაგიგიათ ალბათ: „ერთეულები შეიძლება ცდებოდნენ, ხალხი კი არასოდეს არ ცდება".

ზაკვირველია, რატომ აიტაცეთ ეს სიტყვა ჩვენი დღევანდელი თუ წინა პარლამენტართა ლექსიკონიდან და უსაბაბოდ მიაკერეთ ბატონ თემურ შაშიაშვილს? ალბათ იმიტომ, რომ იქ მართლაც ბევრს ეხედავდით და ეხედავთ ისეთებს, რომლებიც თვითრეკლამებისათვის ამბობენ სიტყვებს და იფიქრეთ, შაშიაშვილსაც მათ გვერდით დავსვამ და დამიჯერებენო?!



არც ერთი ჩვენგანი არ ვიცნობთ პირადად შაშიაშვილს, მაგრამ ქუთაისშიც მრავალჯერ ვყოფილვართ და ბევრ ქუთაისელთანაც გვაქვს ახლო ურთიერთობა და ის, რაც პრაქტიკულად შეინიშნება ქუთაისში, ან რასაც ხალხი (ვგულისხმობთ მასებს და არა ერთეულ „საქმოსნებს") შაშიაშვილზე ლაპარაკობს, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ხის ძირზე, რომელმაც ქუთაისური ნაყოფი მოისხა. ასე რომ, შაშიაშვილსა და შაშიაშვილის მაგვარ ადამიანებს თავბორბალა კი არ უნდა დავახვიოთ და კორტნა დავუწყოთ, ხშირ-ხშირად უნდა ვუსხათ წყალი ფესვებზე, რომ უძლურობა არ იგრძნონ.

ბატონო დიმიტრი, თქვენ რომ ბრძანებთ, „შაშიაშვილს პოლიტიკურ სცენაზე დამკვიდრებისა და დღევანდელი მდგომარეობის დაკარგვის შიში ამოძრავებსო", მკრეხელობაა. იცით, რატომ? შაშიაშვილი არც ისეთი ბრიყვი გეგონოთ, რომ თქვენზე ნაკლებად იცოდეს როგორი ქცევის ადამიანები მკვიდრდებიან პოლიტიკურ ავანსცენებზე (პირფერები, მორჩილები, დამჯერები, უფროსების მაქებარ-მადიდებელნი და ინდიფერენტულები).

როგორ ფიქრობთ, რომელიმე ეს თვისება გამოსჭვივის შაშიაშვილის საქციელში? პირფერია, მორჩილია თუ სხვა? ეი. მან ჩვენზე კარგად იცის, რომ ასეთი შერკინება ვეშაპებთან (პრეზიდენტი არ იგულისხმება, რადგან ის არსად არ უპირისპირდება პრეზიდენტის პოზიციებს) მისთვის მომგებიანი არ არის, მაგრამ მაინც მიდის ამ რისკზე მიდის იმიტომ, რომ პირადულზე მაღლა აყენებს საქვეყნო ინტერესებს. პირფერობით მას ადვილად შეუძლია იმ ვეშაპის გადმობირება, რომლისგანაც სარმის გამოდებას ელოდება.

აბა გაიხსენეთ, რამდენიმე წლის წინ შაშიაშვილის გამოსვლა საქართველოს სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა შეკრებაზე, სადაც ყველა რაიონის გამგებელი, მილიცია-პროკურატურის ხელმძღვანელი, სასამართლოს თავმჯდომარეები და უშიშროების უფროსები ესწრებოდნენ. რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელთა წარმომადგენლობით, რა თქვა ბატონმა თ.შაშიაშვილმა: „თქვენ თუ შეძლებთ (მიმართა პრეზიდენტს) ამ დარბაზში ყველა პატიოსანი კაცი დასვათ, ჩვენს ქვეყანას სხვა არაფერი დასჭირდებაო". არის თუ არა გასაგებად ნათქვამი ჭეშმარიტება? არის.

აბა, ერთი წუთით ჩაფიქრდით და წარმოიდგინეთ რაიონი, სადაც გამგებელი სპეტაკი და მიუდგომელია, მილიცია-პროკურატურაში ფულით ვერაფერს მიაღწევ, სასამართლო თემიდას სასწორით წონის ვერდიქტებს, უშიშროების სამსახური კი სამეურნეო საქმიანობაში მაკლერობასა და მორიგება-გარიგებებზე კი არ კარგავს დროს, ქვეყნის უსაფრთხოებაზე ფიქრობს, და, დაგვისახელეთ ნებისმიერი თავზეხელაღებული ავაზაკი (ქურდი, ყაჩაღი, მექრთამე, თაღლითი თუ სხვა რანგის პოტენციური დამნაშავე), რომელიც ასეთ რაიონში დანაშაულს ჩაიდენს. დღეს კი რა ხდება? ნებისმიერი დამნაშავე უდანაშაულოდ „ჩაითვლება", თუ ფული აქვს, და ეს ხდება თითქმის ყველა რაიონში და რესპუბლიკურ ნებისმიერ ხელმძღვანელ ორგანოში. რაც ბუნებით პატიოსან კაცსაც კი უბიძგებს რისკზე წასვლას და დანაშაული ჩაიდინოს, თუკი გამოხსნისათვის ფული, ან მისი შოვნის იმედი ექნება.

ბატონო დიმიტრი! რომ ბრძანებთ, „პრეზიდენტს მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლებაც კი არ ძალუძსო" და ამ სიტყვებით ბავშვივით აქეზებთ პრეზიდენტს შაშიაშვილის წინააღმდეგ (ეზოში მოფუსფუსე დაბალ კლასელებში შერეული უფროსკლასელები, ძლიერებს რომ აქეზებენ სუსტებზე: „შენ მაგას ვერ მოერევიო" და უმოწყალოდ აცემინებენ პატარებს), ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ეს სიტყვები თეთრი ძაფით ნაკერია.

„პრეზიდენტი შაშიაშვილს ვერ გაათავისუფლებსო" რომ ამბობთ, თქვენდა უნებლიედ საკუთარ პოზიციას ამჟღავნებთ, მაგრამ თქვენ გეკითხებით, რატომ უნდა გაათავისუფლონ შაშიაშვილი? იმისათვის, რომ რობოტის უნარი არა აქვს და საკუთარ ფეხზე დგას? თუ რატომ?

ანდა რატომ არ შეუძლია პრეზიდენტს დაუყოვნებლივ მისი გათავისუფლება? ჯარი ჰყავს და ომს გამოუცხადებს პრეზიდენტს, თუ დუელში გამოიწვევს? ის თქვენებური მოტივი – შაშიაშვილს „ქუთაისური ელიტა" დაიცავსო, სასიამოვნოდ მოსასმენი ზღაპარია ჩვენი სინამდვილისათვის! ზღაპარია იმიტომაც, რომ იმ ფსიქოლოგიის ადამიანები, როგორიც ბატონი შაშიაშვილია, ფრთხილები და გამჭრიახები კი არიან, მაგრამ „მარტო დადიან" – უარს ამბობენ ყოველგვარ დამცავ ღონისძიებებზე. მათი ძალები მობილიზდებიან მხოლოდ საქმის ირგვლივ, საკუთარი თავი კი ზოგჯერ ავიწყდებათ კიდეც...

ასე რომ, შაშიაშვილს არანაირი დამცავი „ქუთაისური ელიტა" არ შეიძლება ჰყავდეს. ამიტომ პრეზიდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მისი გათავისუფლება. მითუმეტეს, მაშინ, თუ დქვეწრისთანა ხალხის ... ბა არ შეაჯერდება, ... და არც — საქართველოს.

ვერ ხედავთ, როგორ ... ქვეყნის ქონება – თითო ... რომელიც 5-6 ლარად იყიდ... ზარზე? აბა, დაითვალეთ რა... „გადაკეთდა" „წილოსანის" ... ის წილოსნებია, ყველგან ... მოიპოვეს). შეიარეთ ქონებ... სამინისტროსა და არბიტრ... რა სახის სადაო საკითხებ... ლი. ჩაიხედეთ ზოგიერთ... მოტივებში და ნახავთ რამდ... გადამალული და სახელმწ... დის ავლით მითვისებულ... ფიქრობთ, ეს ერთეულებ... ბია? არა. აქ კოლექტიური ... ის და კორუფციონერების ... და სხვა არაფერი. აი, ამა... მობს ბატონი შაშიაშვილი... რუფციის წინააღმდეგ იბრ... რუფციონერთა გამოვლი... დასჯას მოითხოვს. ესეც ... ლიზმია, აღარ ყოფილა ... დარჩენის საშველი და ვ...

ბატონო დიმიტრი! თ... კარგადაც შეიძლება იც... უცხოეთიდან აღებულმა ... ერთი ციცქნა საქართვე... მილიარდ დოლარს გად... ის ვალია, რომლის გად... შვილთაშვილებს მოუწევ... ანა ქვეყნად დარჩა, და ამ... ბით გულახდილად ბრ... თქვენთვის მაინც განსა... დაეტყო ამდენი სესხი ... დაც ერთი რომელიმე ... დარგის ფეხზე დადგომ...

ეს ფულებიც, ალბა... აწილდა, კრედიტებისა ... ნაციებით კორუფციონ... როგორც სახელმწიფო ... აწილეს „წილოსნებმ... ფიქრობთ, ამაზე არავინ ... თქვას? არ უნდა იყვირ... დაარისხოს ზარები? თუ ... ინტელექტის ადამიანებ... მიხედვით ემსჯელობ... უნდა სთქვან რამე?

თქვენ კი, თქვე კარ... მიდექით და კაცს, რომ... სიტყვა მალამოსავით შე... ადგეს ჩვენს წყლულებს, ... და „ამბიციურს" უწოდე...

**ბეგლარ გომილაძე, რევაზ კილაძე, ნოდარ ბარბაქაძე**

# ხელისუფლება კი... საზეიმოდ დუმს

ვინაც ბავშვთა სამყაროსა და ბორჯომის ვაგზალს შორის მდებარე ვიწრო ქუჩაზე გაუვლია, შეამჩნევდა (გაუჭირდებოდა, მაგრამ მაინც) გზის ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე აკურატულად დალაგებულ ბორჯომით სავსე ყუთებს და კარტონის ფურცლებისგან შეკრულ ქოხმახებს, სადაც ზოგჯერ კვირაობით, წვიმასა თუ თოვლში, ქარსა თუ სიცხეში, უწევთ ღამის თევა ლუკმა-პურის საშოვნელად შორიდან ჩამოსულ ხალხს. აქ ხშირად კაცებთან ერთად ქალებსა და ბავშვებსაც ნახავთ. ეს, ბორჯომის რაიონის ის მცხოვრებნი არიან, რომელნიც ბორჯომის წყლის ჩამოსხმაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ ფირმას შეპირებების თანახმად უნდა დაესაქმებინა და მსუყე ხელფასებიც დაენიშნა. უკიდურესი გაჭირვებისა და სიდუხჭირის მეტმა რამ შეიძლება ჩამოიყვანოს ამ სიშორეზე ზოგჯერ მთელი ოჯახები და ნახევრად მშიერი, კვირების მანძილზე ამყოფოს ასეთ საშინელ პირობებში.

ბორჯომის რაიონი, მოგეხსენებათ, მოსავლისთვის ვარგისი მცირემიწიანობით გამოირჩევა, ამდენად მიწის დარიგებას ხალხისათვის თავის რჩენის პრობლემა არ მოუხსნია. იმედი ძირითადად ბორჯომის ჩამომსხმელი და ტარის ქარხნებისა ჰქონდათ. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად. მეორე ჩამომსხმელი არ ამუშავებულა და წლეულს ალბათ არც ამუშავდება, ისევე როგორც ტარის ქარხანა. რაც შეეხება პირველ ჩამომსხმელს, მის მუშაობას სპაზმური ხასიათი დასჩემდა, ორი კვირის მუშაობა – ორი თვის შესვენება. თან როგორც ბორჯომელები ამბობენ, იმ 20-30 ლარზე (!) რომელსაც იქ მომუშავე პერსონალს უხდიან, მოლა ნასრედინისა და პოლ ბრეგის მეთოდებით თუ შეინახავ ოჯახს, თორემ სხვაგვარად...



შექმნილ პირობებში ხალხმა ერთადერთი შესაძლო გამოსავალი მონახა – ბორჯომის კუსტარული ჩამოსხმა და მისი რეალიზაცია. კუსტარულმა საამქროებმა ბევრი ოჯახი გადაარჩინა შიმშილით სიკვდილს, დღეს კი მათ ყველას დახურვა ემუქრება. ბორჯომის ჩამოსხმაზე ლიცენზიას მათ არ აძლევენ (რაიონში ჩვიდმეტიოდე ლიცენზირებული საწარმოა). ეს კი ავტომატურად დახურვის ტოლფასია. მათივე თქმით, ყველანი გაფრთხილებულები არიან, რომ 10 ივნისის შემდეგ ჩამოსხმა უნდა შეაჩერონ. რა უნდა ქნას ყოველგვარ ალტერნატივას მოკლებულმა ამ ხალხმა, დღეს არავის ადარდებს. ერთადერთ საარსებო წყაროს მოკლებულმა ხალხმა რა გზას შეიძლება მიმართოს ფინანსური კრიზისიდან თავის დასაღწევად, ალბათ, ასე თუ ისე წარმოსადგენია. ჩამოუსხმელი ბორჯომი კი ისევ მტკვარს შეუერთდება. ბორჯომის მესვეურთა ის პოზიცია, თითქოსდა კუსტარული ბორჯომი სტანდარტს არ შეესაბამება, ყურით მოთრეულ არგუმენტთა სიაში შეიძლება შეიტანოს. ფალსიფიცირებული ბორჯომის წყალი ბუნებაში არ არსებობს, იგი მიწიდან ამოდის და თუკი სანიტარული ნორმების დაცვით იქნება ჩამოსხმული, მნიშვნელობა არა აქვს ეტიკეტს და გამომშვებ ფირმას, შინაარსი ყველას ერთი ექნება. არავინ იფიქროს, თითქოსდა ამგვარად ჩამოსხმული ბორჯომით მილიონების შოვნა შეიძლებოდეს. იმ პირთა სია, რომელთა სასარგებლოდაც გარკვეული თანხა უნდა გასცეს კაცმა, სანამ ჩამოსხმული ბორჯომი მყიდველის ხელში აღმოჩნდება, ათეულობით შემოიფარგლება. დიდი – დიდი ერთ ცალ ბოთლში საწყალ კაცს 3-4 თეთრი



დარჩეს. რაც ყოველ, ზურგით ნათრევ და არაერთხელ ხელში აღებულ და დადებულ 1000 ბოთლზე 30-40 ლარი გამოდის. პოდა, ახლა წარმოიდგინეთ მკითხველმა, რამდენი „მსუყე" და „იოლი" შრომაა ბორჯომის წარმოება-რეალიზაცია.

ამ რამდენიმე დღის წინ, ბორჯომის რიგებს პოლიციელები ესტუმრნენ და ტერიტორიის დაცლა მოითხოვეს. ადმინისტრაცია აქტიურად ცდილობს გამოაძევოს ბორჯომელი „თეთრებ-ული" დაკავებული ტერიტორიიდან იმ საბაბით, რომ ეს ადგილი [illegible] „იოლი" გზით [illegible] კაპიკი თავისა და ოჯახის გადასარჩენად.

მაღაზიებში ბორჯომი 50 თეთრზე ნაკლებად არსად შეგხვდებათ. ქარხანაში მისი გასაყიდი ფასი 30-35 თეთრის ფარგლებში მერყეობს. ეს ხალხი კი იმავე ხარისხის პროდუქციას 15-20 თეთრად აწვდის თბილისის მოსახლეობას. იქნებ ამ ფაქტში იყოს დამარხული მათ მიმართ აქტიურად მზადებული ტერორის მიზეზი? იქნებ მა... ვანს ზუსტად მაზანდის [illegible] აწყობს? ამ ხალხის [illegible] აკრძალვა საბოლოო ჯ... ოჯახების ფინანსური კა... გარდა, ისევ უბრალო ... ბის ჯიბეს დაარტყამს. ... დან შევიწროვებულ ბო... პროტესტის აქტიურ ფ... დასვლა აქვთ გადაწყვე... გამოსავალი აღარ დარ... ლისუფლება კი... ხე... საზეიმოდ დუმს.

**კობა კიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზეთის მდგომარეობის შესახებ

ნოდარ ნათაძე

წინამდებარე განცხადება კეთდება არა დალხინების გამო, არამედ გაჭირვების გამო. საქართველოს ახალი კონკრეტული ხიფათი ემუქრება. ამიტომ საჭიროა ერთმანეთს ზოგი რამ შევახსენოთ და სიფხიზლისკენ მოვუწოდოთ.

ამ განცხადების ტექსტი მხოლოდ ხელმომწერის აზრს კი არ გამოხატავს, არამედ მრავლისას. მაგრამ უმჯობესად იქნა მიჩნეული მისი გამოქვეყნება მხოლოდ ერთი ხელმოწერით, რათა მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული სამომავლოდ თანამშრომლობის შესაძლებლობა დიამეტრიულად სხვადასხვა შეხედულებისა და პოლიტიკური პოზიციის ქართველებს შორის.

## განცხადება აფხაზეთის პრობლემის დღევანდელი მდგომარეობის გამო

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებს მიგვაჩნია, რომ ოთხწლიანი სტაგნაცია აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის საქმეში, ისევე როგორც ომის წაგება 1992-93 წლებში (და ზოგი მიმართულებით – საქართველოს პოზიციების შესუსტება ამ სფეროში 1993 წლის აქეთ) ობიექტური პირობების შედეგი კი არაა, არამედ საქართველოს ხელისუფლების არასწორი, საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკის შედეგია. მოვლენათა უახლესი განვითარება ამიერკავკასიაში, რუსეთში და მსოფლიოში საქართველოს ახალ დამარცხებათა პროვოცირების, მისი ოკუპაციის გაფართოებისა და მისი კატასტროფული მდგომარეობის გაღრმავების ახალ კონკრეტულ ხიფათს შეიცავს. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ვაქვეყნებთ სამოქმედო პროგრამის სახით იმ აუცილებელ და გადამწყვეტ ნაბიჯთა ნუსხას, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას *შეუძლია* გადადგას და ამიტომ *ვალდებულია* გადადგას აფხაზეთის პრობლემის გადასაჭრელად, თუკი ქვეყნის ინტერესთა დაცვა უნდა. წინამდებარე დოკუმენტი შეთანხმებულია ზოგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ჯგუფთან და არა ყველასთან, მაგრამ ცნობილია, რომ იგი, ძირითადად, საერთო აზრს გამოხატავს.

აფხაზეთის საქართველოს სახელმწიფოში დაბრუნების პროგრამა მოიცავს სამი კითხვის პასუხს. *პირველი*, უნდა გავაანალიზოთ ის, რაც მოხდა, სახელდობრ, უნდა გავარკვიოთ, რატომ და რა ფაქტორების გამო დავმარცხდით აფხაზეთში, *მეორე*, ამ ანალიზის საფუძველზე უნდა პროგნოზირება მოვახდინოთ (განვჭვრიტოთ), რა მოხდება ახლო მომავალში, სახელდობრ, რას და რას მოიმოქმედებენ (რა ნაბიჯებს გადადგამენ) ჩვენი მოწინააღმდეგეები თავისი წარმატების განსავითარებლად და ჩვენი დამარცხების გასაღრმავებლად. *მესამე*, უნდა განვსაზღვროთ, რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ ჩვენ, ანუ ჩვენმა სახელმწიფომ, იმისათვის, რომ აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია აღდგეს და დევნილი ქართველი მოსახლეობა შინ დაბრუნდეს.

## I. რატომ დავმარცხდით აფხაზეთში

ცნობილია, რომ 1992-93 წლების აფხაზეთის ომში საქართველო დაამარცხა არა აფსუა სეპარატისტებმა, არამედ რუსეთმა, რომელიც ამ ომს აწარმოებდა „მოხალისეებად" და „დაქირავებულებად" შენიღბულ რუს კადრის სამხედრო მოსამსახურეთა, მოხალისე კაზაკთა და სხვა რუსთა, ჩრდილოკავკასიელთა და რუსეთის სხვა მოქალაქეთა მასობრივი გამოყენებით, რუსული სამხედრო ინსტრუქტაჟით და კონსულტაციით, რუსული შეიარაღებით და დაფინანსებით, რუსული ავიაციისა და არტილერიის მონაწილეობით, რუსული სადაზვერვო მონაცემების მუდმივი გამოყენებით. დღესაც ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებას აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენისათვის წარმოადგენს რუსეთის სამხედრო ნაწილების დგომა გუდაუთაში და სოხუმში. ამგვარად, აფხაზეთის ტერიტორია კოდორის ხეობის ზემოწელის გამოკლებით დღეს *რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიაა.*

მიუხედავად ამისა, საქართველოს მაინც შესაძლებლობა ჰქონდა, თავისი რესურსებისა და კადრებიდან გამომდინარე, და ვალდებულიც იყო გაემარჯვა მოწინააღმდეგეზე 1992-93 წლების ომში, ვინაიდან რუსეთის მონაწილეობა ამ ომში არაოფიციალური იყო და, ამდენად, შეზღუდული. საქართველოს შეიარაღებულ ძალთა დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობის ქმედება, რომელიც შეუთავსებელი იყო სახელმწიფო ინტერესებთან და რომელიც მთელ რიგ არსებით პარამეტრებში მიმართული იყო არა საქართველოს შეიარაღებულ ძალთა გამარჯვებისკენ, არამედ, პირიქით, საქართველოს საზარალოდ რუსეთის ინტერესების დაცვისკენ, სახელდობრ:

1. არც ერთხელ, ომის არც ერთ ეტაპზე, არც ერთი ოფიციალური არხით საქართველოს ხელისუფლების მიერ არ დაფიქსირებულა – არც ნოტით, არც გაეროსადმი მიმართვით ან სხვა რამ ფორმით, – რომ რუსეთი საომარ მოქმედებას ეწევა გაეროს წევრი სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ მისსავე ტერიტორიაზე. ამით რუსეთს საშუალება მიეცა დაუბრკოლებლად ეწარმოებინა თავისი აგრესიული სამხედრო მოქმედება და ამ მოქმედებაში მაქსიმალური შედეგისთვის მიეღწია.

2. ომის დაწყების წინ, 1992 წლის თებერვალში და მაისში საქართველოს სამხედრო საბჭოს, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფმა შეიარაღებულმა ძალებმა და უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებამ „მხედრიონმა", რომელიც ამავე საბჭოების დაქვემდებარებში იმყოფებოდა, ორგზის დაარბია და გაძარცვა აფხაზეთის მიმდგომი სამეგრელოს რაიონები და მოსახლეობას უდიდესი მატერიალური და მორალური ზარალი მიაყენა ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლის ჩათვლით, ამით სავსებით მოირღვა საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ზურგი იმ სამხედრო მოქმედების წინ, რომელიც სამი თვის შემდეგ დაიწყო, და თითქმის გადაულახავი დაბრკოლებები შეექმნა კომუნიკაციათა ფუნქციონირებას საომარი თეატრის მიმდგომ ტერიტორიაზე.



3. მხოლოდ იმის გამო, რომ გალის რაიონის მოსახლეობა ძირითადად დევნილობაში მყოფ პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე იყო, არ შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისაგან საქართველოს შინაგანი ჯარის ნაწილი, რომელიც გააწონასწორებდა აფსუა სეპარატისტების მიერ დაგროვილ ძალებს და ზედმეტს გახდიდა რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის დასაცავად შეიარაღებული ძალების შეყვანას მუდმივი დისლოკაციის სხვა ადგილებიდან. ამ ნაბიჯის არგადადგმის შედეგად აუცილებელი გახდა აფხაზეთში შეიარაღებული ძალების მოძრაობა, რითაც აფსუა სეპარატისტებს საშუალება მიეცათ ცეცხლის გახსნისა და ომის დაწყებისა.

4. 1992 წლის აგვისტოში უმაღლესი სარდლობის ბრძანებით ქსოხუმში შეჩერებულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების წინსვლა და ქალაქიდან გამოყვანილ იქნა მილიცია, რამაც, ერთის მხრივ, მოწინააღმდეგეს ძალის მოსაკრები დრო მისცა, მეორეს მხრივ მაროდიორობისა და დესტაბილიზაციის პირობები შექმნა სოხუმში.

5. 1992 წლის აგვისტოში და შემდეგ, ტაქტიკისა და სტრატეგიის ყველა კანონის დარღვევით, საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ზურგში დატოვებულ იქნა ქტყვარჩელი, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა სოხუმის ძირითადი კომუნიკაციის გადაჭრაში ჯერ 1993 წლის 2 ივლისს (ტამიშთან), ხოლო შემდეგ იმავე წლის სექტემბერში (კოდორზე).

6. არ იქნა გამოძიებული 1992 წლის 3-5 ოქტომბერს გაგრის და გაგრის ზონის დაცემის მიზეზები, რამაც განაპირობა იგივე ქაოტურობა ქართულ შეიარაღებულ ძალებში და შემდგომი დამარცხებები სოხუმის დაცემის ჩათვლით.

7. არ იქნა მომზადებული თავდაცვის სათადარიგო ზღუდეები სოხუმიდან კოდორის ხეობამდე და კოდორის მარცხენა სანაპიროდან ენგურამდე, რის შედეგადაც უბრძოლველად იქნა დათმობილი ათასობით კვადრატული კილომეტრი ტერიტორია და მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდა ასიათასზე მეტი სული ქართველი მოსახლეობა.

8. 1992 წლის 3 სექტემბრის ქართულ-რუსული შეთანხმების შესაბამისად, დანაშაულებრივი გულუბრყვილობით იქნა შეჩერებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ თავისი პლაცდარმის გაფართოება ბზიფის მარჯვენა სანაპიროზე, რამაც განაპირობა მებრძოლთა დემორალიზაცია, მსხვერპლი (სნაიპერთა ცეცხლით) და გაგრის დაცემა 3 ოქტომბერს.

9. 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმებით სოხუმის ზონიდან გაყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების მძიმე ტექნიკა, რაც სოხუმის დაცემის ძირითადი მიზეზი გახდა.

10. 1993 წლის აგვისტოში სახელმწიფოს მეთაური შევარდნაძისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა რჩევით სოხუმში დაბრუნდა ლტოლვილი ქართველი მოსახლეობა. საბრძოლო მოქმედების განახლების შემდეგ (14.IX. 1993) ამ მოსახლეობას არ მიეცა რჩევა კვლავ დაეტოვებინა სოხუმი ჯერ კიდევ დარჩენილი გზებით, რასაც შედეგად მოჰყვა ჭუბერის უღელტეხილზე რამდენიმე ასეული ლტოლვილი ადამიანის დაღუპვა სიცივით სექტემბრის ბოლო დღეებში და სოხუმიდან ვერგამოსულთა გენოციდი აფსუების მხრიდან. ეს დანაშაულებრივი შეცდომა ბუნებრივად ბადებს საზოგადოებაში ეჭვს, რომ სოხუმის მოსახლეობა წინასწარგანზრახულად იქნა გაწირული იმის გამო, რომ მისი დიდი ნაწილი დევნილობაში მყოფ პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე იყო.

აღნიშნული გარემოებები სავსებით საკმარისია შემდეგი დასკვნისათვის: *იმ სარდლობით, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ჰყავდა 1992-93 წლების აფხაზეთის ომის დროს (მთავარსარდალი ე.შევარდნაძე), და იმ ხელმძღვანელობით, რომელიც საქართველოს ჰყავდა ამ დროს (სახელმწიფოს მეთაური ე.შევარდნაძე), ომი არ შეიძლება.* ქართველი ერი ვალდებულია გაითვალისწინოს ეს გამოცდილება. ამგვარი არაკომპეტენტური და არასანდო სარდლობით და ხელმძღვანელობით ომი საქართველოს მხრიდან დღეს იქნებოდა ავანტიურა, რომლის უფლებაც სახელმწიფოს არა აქვს.

## II. მოვლენათა მოსალოდნელი განვითარება (პროგნოზი)

რუსეთის ფედერაციას აფხაზეთში ორი ძირითადი ინტერესი აქვს, რომელზედაც იგი თავისი ნებით ხელს არ აიღებს. ესენია

ა) აფხაზეთის სანაპიროს ფლობა და კონტროლი შავ ზღვაზე თავისი სტრატეგიული პოზიციების განმტკიცების მიზნით. ეს ინტერესი გაძლიერებულია იმის გამო, რომ რუსეთს, სსრკ-სთან შედარებით, დაკარგული აქვს უკრაინის მთელი სანაპირო და საქართველოს სანაპიროს ნაწილი.

ბ) ამიერკავკასიის მთავარი მაგისტრალისკენ (ფოთი-ბაქო და ბათუმი-ბაქო) დამიზნებული პლაცდარმის ფლობა ამ მაგისტრალის კონტროლის და, საჭიროების შემთხვევაში, ბლოკირების მიზნით. ეს ინტერესიც მზარდია, რადგან მზარდია ამიერკავკასიის მაგისტრალის მნიშვნელობა.

საფიქრებელია, რომ აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებათა კიდევ ერთხელ ორგანიზაციით რუსეთს ამჯერად უნდა არა მხოლოდ ამიერკავკასიური მაგისტრალის განვითარების შეფერხება, არამედ ამ მოქმედებათა გადაზრდაც *უფრო დიდ ომად საქართველოს სიღრმეში,* რომელიც იწარმოებს ისევ რუსეთის მოქალაქეთა ჩრდილო კავკასიელთა და სხვადასხვა „მოხალისეთა") და, შესაძლოა, თურქეთის მოქალაქეთა გამოყენებით. მიზნად დასახულია საქართველოს დიდ ნაწილზე კონტროლის მოპოვება და, შესაძლოა, თვით სახელმწიფოებრიობის მოშლაც. საქართველოს წინააღმდეგ მიმართული არაოფიციალური ომი უაღრესად პოპულარული იქნება რუსეთის მასაში და ამ მასის ყურადღებას მოაცილებს ეკონომიკურ პრობლემებს, რომლებიც ელცინის გუნდისთვის დღეს გადაუჭრელია. გარდა ამისა, საქართველოში დიდი ომის დაწყება შესაძლოა მომგებიანი ფონი იყოს რუსეთის კიდევ ერთი მცდელობისთვის, რომ ჩეჩნეთის პრობლემა სამხედრო ძალით გადაჭრას.

თუ საქართველოში რუსეთის ნების უსიტყვოდ ამსრულებელი ხელისუფლება დგას, მაშინ მოვლენათა ამგვარი განვითარება სავსებით შესაძლებელია. საქართველოს ხელისუფალთა ცალკეული გამონათქვამები რუსეთის მხრივ საქართველოზე ზეწოლის წინააღმდეგ ასეთ შემთხვევაში მიჩნეულ უნდა იქნას მხოლოდ პოპულარობის (ნდობის) მოპოვების საშუალებებად ზემოხსენებული გეგმის გატარების გაადვილების მიზნით.

აღნიშნული გარემოებებიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ

ა) არ შეიძლება საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა აფხაზეთში იომონ რუსეთისაგან მიღებული იარაღისა და ტყვიაწამლის იმედით და ამ ძალების მდგომარეობის შესახებ რუსეთის ინფორმირებულობის პირობებში. ეს ნიშნავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გარდუვალ დამარცხებას.

ბ) არ შეიძლება საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა იომონ საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალების დგომის და ბაზების ქონის პირობებში, მაშასადამე – საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურების ფართომასშტაბიანი მოქმედების პირობებში, ესეც საქართველოს შეიარაღებული ძალების გარდუვალ დამარცხებას ნიშნავს.

შევახსენებთ საქართველოს შეიარაღებულ ძალთა სარდლობას, ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს, რომ ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინება პოლიტიკურსა და სათავდაცვო დაგეგმვაში სავალდებულოა, ხოლო მათი ვერდანახვის სიმულაცია – შეუძლებელი.

## III. აფხაზეთის გადარჩენის რეალური გზა

აფხაზეთის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შენარჩუნების, მის ტერიტორიაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის და დევნილი ქართველი მოსახლეობის თავის საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების გარანტირებული (რეალური) გზა *არსებობს*. ეს გზა დაკეტილია მარიონეტული ხელისუფლებისათვის (სახელდობრ – რუსეთის ნების აღმსრულებელი და თავისი ბიოგრაფიით

გაგრძელება მე-6 გვ.

## ესენი ზვიადზე უარესს იზამენ
### 31 – 3/II.92 წ.

თბილისი კვლავ აბობოქრდა. ყოველდღე მიტინგ-მანიფესტაციებს მართავენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო წესებია გამოცხადებული, ხალხი გააფთრებით მიიწევს დროებითი მთავრობის რეზიდენციისკენ, აწყობენ პიკეტირებას, რათა სიგუა კაბინეტში არ შეუშვან, ესვრიან ქვებს, უშვერი სიტყვებით ილანძღებიან.

1 თებერვალს სპორტის სასახლეში თბილისის მცხოვრებთა კრება გაიმართა. სიტყვით გამოვედით: მერაბ ალექსიძე, მე (თანმიმდევრობის მიხედვით ჩამოვთვლით), ოთარ მეღვინეთუხუცესი, გიგა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ კახიძე, ბუბა კიკაბიძე, ირაკლი წერეთელი...

ვთქვი: სნგ-ში შესვლის წინააღმდეგი ვარ-მეთქი, რუსის ჯარის სტატუსის შეცვლის წინააღმდეგი ვარ-მეთქი, ჩვენ დაპყრობილი ანექსირებული ქვეყანა ვართ და რუსის ჯარს ზვიადმა სწორად მისცა ოკუპანტის სტატუსი-მეთქი. ძალადობის წინააღმდეგი ვარ-მეთქი. მე თოფით ხელში თბილისს ვდარაჯობ-მეთქი. ყველამ უნდა დავიცვათ პოლიტიკურ მაფიათაგან ჩვენი ღირსება, ჩვენი ოჯახის სიწმინდე და პატიოსნება-მეთქი. ამით ჩვენ საქართველოს დავიცავთ-მეთქი.

დარბაზს მოეწონა, მაგრამ ტელევიზიით არ გადასცეს. ჩანს, ახალი ხელისუფლების თვალსაზრისს ზვიადზე მთლად არ ვეთანხმები, და ამიტომ.

2 თებერვალს გვარდიამ დემონსტრანტებს ესროლა. მოკლა 1, დაჭრილია 20 კაცი. ცუდი ამბავია. გამოსავალი?! ესენი ზვიადზე უარესს იზამენ.

## არა, ქართველი კაცი მე ასე არ გამიმეტებდა...
### 4/II – 10/III.92 წ.

ათასი პრობლემა ერთად დამეცა თავზე და დღიურების საწერად ვერ მოვიცალე.

ჯერ იყო და კათედრის წევრი, სათნოებით აღსავსე ქალი, ლია შატბერაშვილი გარდამეცვალა.

მერე 5 მარტს სატელეფონო მუქარა აღმისრულეს, მამისეული სახლი დამიწვეს. ვინ დაიდო ეს ცოდვა? გადაჭრით ვერავის დავაბრალებ. ერთი კია: არც ზვიადისტებს ვეხატები გულზე და არც შევარდნაძისტებს.

ღამის ოთხ საათზე სახლს „გაურკვეველი მიზეზებით" (როგორც სახანძრომ დაასკვნა) ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ყველაფერი. ქაღალდის ნაგლეჯიც არ გადარჩა.

ალბათ, მხოლოდ განგებამ შეძლო ჩემი ბებერი მშობლების და ძმის (თავისი სამი შვილით) გამოყვანა იმ სტიქიიდან.

სახანძრო მოვიდა და უბენზინობის გამო წყალს ვერ ტუმბავდა თურმე.

რით გავამხნევო, რა ვუთხრა ჩემებს, გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რომ ეს ყოველივე ჩემი მიზეზით მოხდა.

არა, ქართველი კაცი მე ასე არ გამიმეტებდა.

მესამე დღეს დამირეკა ვიღაც გარეწარმა: ახლა ტელევიზორში გამოხვალ და მოითხოვ ზვიადის დაბრუნებას, თორემ უარეს გიზამთო.

ჯერ ერთი, მე ნეიტრალურ პოზიციაზე ვიდექი თავიდანვე და მეორეც, რა შემატყვე, ეს ნაძირალავ, რომ ჩემი დაშინება ეგრე „იოლად" შეიძლება-მეთქი.

თუ ვაჟკაცი ხარ, გამოგივლი ახლავე, ავიდეთ კუს ტბაზე და გინდა ხელით, გინდა იარაღით გავსწორდეთ-მეთქი.

დამიკიდა ყურმილი.

სახლის დაწვა რა დაშინების ან ზემოქმედების ფორმაა, ნეტავ? ნუთუ მე იმის მიხედვით შევიცვლი აზრს დიქტატურაზე ან სამხედრო ხელისუფლებაზე, სახლს დამიწვავენ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №48,49,50,51.

დღიურები

# რევაზ მიშველაძე
# ხუთი მრისხანე წელი
## ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე

თუ ამიშენებენ?

9 მარტს საქართველოში შევარდნაძე დაბრუნდა.

მე არ ვეკუთვნი შევარდნაძით აღფრთოვანებულთა რიცხვს. მისი „მეფობის" წლები საქართველოში კარგად როდი მახსოვს, მაგრამ ახლა, მე მგონი, იგი საქართველოს სჭირდება.

იქნებ შევარდნაძეს თავისი გამჭრიახობით და საერთაშორისო კავშირებით ძალუძს საქართველოს ფერფლიდან აღდგენა. ვნახოთ. ეჭვი მაინც მღრღნის, იქნებ სულ სხვა მიზნით გამოგზავნა რუსმა შევარდნაძე?

## კარვის ქალებმა დაწვეს „ვეფხისტყაოსანიც" (ნ.ნათაძის რედაქტორობით იყო გამოსული)...
### 10/III – 26/III.92 წ.

25-ში მწერალთა XI ყრილობა ჩავატარეთ...

„კარვის ქალებმა" ყრილობის დაწყების წინ მოედანზე დაწვეს ჭაბუას, მორის ფოცხიშვილის, შ.ნიშნიანიძის, ჩემი, ოტია იოსელიანის, გ.ფანჯიკიძის, ჯანსუღის, ტ.ჭანტურიას, რ.ჭეიშვილის და სხვათა წიგნები. მათ შორის თურმე – ნ.ნათაძის რედაქტორობით გამოცემული „ვეფხისტყაოსანიც".

ყრილობის დაწყების წინ მუხრანი განცხადებით გამოვიდა-მეო, ეს ყრილობა და საერთოდ გამსახურდიას დამხობა უსამართლობად მიმაჩნია და მომყვით, ვინც ჩვენთან ხართო.

უკან გაჰყვა 15-მდე კაცი. მათ შორის ხუტა, ელიზბარ ჯაველიძე (?), სოლომონ დემურხანაშვილი, თ.დოიაშვილი და სხვანი.

გამოვედი მოკლე სიტყვით; მწერლობის საქმე ახლა გახლეჩილი ერის გამთლიანებაა-მეთქი. თავმჯდომარედ გ.ფანჯიკიძე ავირჩიეთ, მოადგილედ – რ.ჭეიშვილი.

## აიღეს ფოთი, ზუგდიდი, აბაშა, ხობი...
### 27/III – 7/IV.92 წ.

ისევ აირია ქვეყანა (თუმცა როდის დაეწყო).

რადიო აცხადებს: ზუგდიდიდან დაიძრა ზვიადის მომხრეთა 500 კაციანი ლაშქარი. დაიპყრეს აბაშა, სენაკი, ხობი, ფოთი. გამოყარეს ადგილობრივი ხელისუფლება და ზვიადისეული პრეფექტები დააბრუნესო.

თბილისიდან დაიძრა გვარდია.

„აიღეს" ფოთი, ზუგდიდი, აბაშა, ხობი... დამწეულმა ზვიადისტებმა თავი აფხაზეთს შეაფარეს. აფხაზეთმა შეიფარა ლტოლვილები და ენგურსმომდგარ გვარდიას გზა ტანკებით გადაუკეტა.

საქართველომ არ გაბედოს დამოუკიდებელი აფხაზეთის დაპყრობა, თორემ სისხლი დაიღვრება და ჩრდილოეთიდან მაშველ ძალებს ვუხმობთო, არძინბამ.

„მაშველნი" ჩეჩნები და რუსები არიან.

ასე მოგვიწყო საქმე ჩვენმა უთავობამ.

საქართველოს ისტორიის მთელს მანძილზე პირველად ვერ შევდივართ ჩვენს მიწაზე – აფხაზეთში.

ახლა კი აშკარად ჩანს, რომ ეს ომი რუსების ინსპირირებულია.

რუსებმა გააბრიყვეს ზვიადი.

რუსის იმედი რომ არ ჰქონდეს, არძინბა რას გაბედავდა!

## შევარდნაძე მწერალთა კავშირში
### 8/IV – 12/IV.92 წ.

ათ აპრილს მწერალთა კავშირში ედუარდ შევარდნაძე გვეწვია.

თავის გამოსვლაში სამჯერ თქვა – მწერლობა ერის საამაყო ნაწილიაო.

ეს ერთგვარი რეაბილიტაცია, ცნობა იყო ქართული მწერლობისა ამ უკანასკნელი ორი წლის ფონზე – როცა ხელისუფლება მწერლობის ლანძღვის მეტს არას აკეთებდა.

სიტყვები ვთქვით: გ.ფანჯიკიძემ, რ.ჯაფარიძემ, გ.გვერდწითელმა, მე, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ა.სულაკაურმა, რ.ჭეიშვილმა.

მე, პირადად, კმაყოფილება გამოვთქვით ხელისუფლების წარმომადგენლის მწერალთა კავშირში მოსვლის გამო და ვკითხე: რატომ არ გვცნობს რუსეთი, ხომ არ შევდივართ სნგ-ში (თანაც გავაფრთხილე, თუ სნგ-ში შევალთ, მე ასეთ მთავრობასთან არ ვითანამშრომლებ-მეთქი), რატომ აწერია ჩვენ პასპორტებს კვლავ „გრაჟდანინ სსსრ?" რატომ არ გადის რუსის ჯარი? ნუთუ მართლა ვერ შევალთ ჩვენს ისტორიულ მიწაზე აფხაზეთში? სანამ იქნება დახლები ცარიელი? ყველა კითხვაზე პუნქტ-პუნქტად მიპასუხა. ვერ დავმალავ, დინჯად, აუჩქარებლად გამოვიდა.

ნუ ვიჩქარებთო, ჩვენ ურთულეს ეპოქაში ვცხოვრობთ და ყოველი ნაბიჯი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდესო.

11 აპრილს იმ შეხვედრის ჩანაწერი (შემოკლებით) ტელევიზიამ გადასცა. ესენგეში შესვლაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო, შევარდნაძემ. ვნახოთ, როგორ შეასრულებს დანაპირებს.

## შევარდნაძე და სიგუა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ
### 12/IV – 9/V.92 წ.

საქართველოში რუსის ორგანიზება-წაქეზებით დივერსია დივერსიაზე ხდება.

აფეთქებენ ხიდებს, წყალსადენებს, რკინიგზებს, ცეცხლს უკიდებენ დაწესებულებებს, აშინებენ მშვიდობიან მოქალაქეებს – გაფიცვას შეეკრთდით, სამუშაოდ არ გახვიდეთ, თორემ მოგკლავთო.

თბილისში, ხელისუფლებაში განხეთქილებაა. შევარდნაძე და სიგუა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. შევარდნაძე სიგუას ადანაშაულებს უმეცრება-უმოქმედობაში და ფასების თვითნებურად ზრდაში, სიგუა კი, მე მგონი, უკმაყოფილოა იმის გამო, რომ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ „მეორე პლანზე" აღმოჩნდა. სინამდვილეში, შევარდნაძეს ბრალს სდებს რუსიფიკატორულ პოლიტიკაში.

ჯანდაბას ყველა მთავრობა, მე იმას ვდარდობ, რომ ხალხს უჭირს. ადამიანები შიმშილით იხოცებიან. გახშირდა ბანდიტიზმი, შარაგზის ყაჩაღობა, სახლებში შევარდნა გვარდიელის ფორმაში გამოწყობილი მძარცველებისა. ავტომატიანი ლაწირაკები ქვეყანას აწიოკებენ. გამკითხველი არავინ არის.

2 მაისს წითელწყაროში (დედოფლისწყარო) მიმიწვიეს. შეხვედრაზე, რაც შემეძლო, ობიექტურად ვილაპარაკე. ახალ მთავრობასაც უკვე დავუპირისპირდი, რადგანაც ვატყობ, ქვეყანას არც ესენი შველიან მეთქი. ვიღაც მოხუცი ქალი შეხვედრის შემდეგ ქუჩაში გამომყვა, შვილო, თავს გაუფრთხილდიო.

„საქართველომ" ვინმე თამარ აბულაძის წერილი გამოაქვეყნა – მიშველაძების სახლი „გაზის მოვარდნის" გამო დაიწვა, ოპოზიცია არაფერ შუაშიაო. იძულებული გავხდი 8 მაისს გაზეთში „მეპასუხნა" და გაზის სამმართველოდანაც ცნობა მომეტანა, რომ გაზის მიზეზით სახლი არ გადამწვარა, ესეც არ იყოს, მე ხომ გადაჭრით არავისთვის დამიბრალებია. ნ.გრიგალაშვილი ვაჟკაცი ბიჭია, მაგრამ, ჩანს, შეცდომაში შეიყვანეს.



„ლიტერატურულ საქართველომ" მიკბინა. „სალაღობო კალენდარში" (რომლის რედაქტორიც მე ვარ) რუსთაველია „ნაბურთავებიო". 8 მაისს „ლიტერატურულ საქართველოში" ვუპასუხე.

საოცარი ამბავია: გგონია, საქვეყნო საქმეს აკეთებ, დიდ პრობლემებს და ერის ბედს სჯი, შენი ჭკუით. მოგეპარება ქურდულად შურიანი ფინია და კანჭზე თავის შხამიან კბილებს ჩაგასობს.

თბილისში პროკლამაციები დაყარეს – 26 მაისამდე აჯანყებას ვაპირებთ, კანონიერი პრეზიდენტი უნდა დავაბრუნოთ და შეიარაღდით, ვისაც გული გერჩითო.

ქვეყანა სამოქალაქო ომის მიჯნაზეა ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს.

## გვარდია სამარცხვინოდ იქცევა
### 10/V – 30/V.92 წ.

25-26 მაისს თბილისში ამერიკის სახელმწიფო მდივანი ბეიკერი სტუმრობდა. თან ახლდა ნატოს ჯარების სარდალი, ამერიკაში ცნობილი გენერალი ჯონი (მალხაზ) შალიკაშვილი. ბეიკერიც შევარდნაძესავით უშიშარი აღმოჩნდა. ორივენი შიშველი ხელებით მოვიდნენ რესპუბლიკის მოედანზე. გზა გაიკვლიეს ოციათას ჭრელი ორიენტაციის ქართველთა შორის და სიტყვებით გამოვიდნენ.

ჩვენ ტაშით ვხვდებოდით ბეიკერს, მაგრამ რუსეთი გაგვინაწყენდა.

რუსეთი ხომ იმპერიის დაშლას ჯერ არ აპირებს.

როგორ გაბედა ურჩმა (ჯერ კიდევ თავისად გვთვლის) საქართველომ დამოუკიდებლად ბეიკერის მოწვევაო.

ადგა და იმ დღესვე ჩრდილოეთ ოსეთს დაავალა საქართველოსთვის გაზი გადაეკეტა.

მეხუთე დღეა უგაზოდ ვართ. ე.ი. საჭმელს ვერ ვამზადებთ, პურს ვერ ვაცხობთ. კატასტროფული რიგებია.

მოსკოვი გვემუქრება, თუ ჭკუაზე არ მოხვალთ, დენსაც გადაგიკეტავთო.

ესეც შენი „კეთილი რუსი".

მწერალთა კავშირში გამგეობის სხდომა გვქონდა, მივეღო თუ არა მონაწილეობა საკავშირო მწერალთა ყრილობაში. ჭაბუამ და თამაზ ჭილაძემ განაცხადეს: უნდა მივიღოთო. მე და აკაკი ბაქრაძე კატეგორიული წინააღმდეგი წავედით.

[illegible] გადაწყდა [illegible] ორი [illegible] გავგზავნოთ.

საერთოდ, ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ მაინც გამოვიდეთ ამ მონური სტრუქტურებიდან, რაკი საქართველო ჯერ კიდევ ვერ გამოდის-მეთქი.

მოსკოვში, ლიტფონდის რესტორანში გაზრდილ რუსოფილებს აშკარად არ ესიამოვნათ ჩემი რადიკალიზმი.

რით დამთავრდება გაზის ბლოკადა? ნუთუ დაჩოქებს რუსეთი საქართველოს?

28 მაისს ზუგდიდიდან შევარდნაძის „გვარდია" გამოაძევეს.

გვარდიაც სამარცხვინოდ იქცევა ამ ბოლო დროს.

ამბობენ, ჯარისკაცები ბანდიტობენ მაშინ, როცა ქართველი ხალხი უნდა დაიცვა გარეშე მტრებისაგანო.

სოხუმში დააპატიმრეს მოლოდინაშვილი.

დავწერე ნოველა „ნეკროლოგი სიკვდილის მიზეზს არ იუწყებოდა".

ჰირდება ვინმეს? არის ახლა ლიტერატურის დრო?

## პროტესტი გამოვთქვი ე.წ. სახელმწიფო საბჭოში მწერალთა სიჭარბის გამო
### 1/VI – 15/VI.92 წ.

9-ში შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული პლენუმი ჩავატარეთ. გ.ფანჯიკიძემ და გ.ლორთქიფანიძემ თ.სიგუა გააკრიტიკეს, თურმე, სახელმწიფო საბჭოზე უთქვამს: თუ თეატრები და გამომცემლობები თავს ვერ ინახავენ, დავხუროთო.

11-ში ახალციხეს გავემგზავრეთ უნივერსიტეტის ძველი ავტობუსით. იქ პირველი საუნივერსიტეტო კონფერენცია ჩატარდა და მოხსენება წავიკითხე – „სამცხე-ჯავახეთი" თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში". მქონდა შეხვედრები იქაურ მწერლებთან, მსახიობებთან.

კონფერენცია კარგად იყო მოწყობილი.

მესხეთის უნივერსიტეტის (ჩემი წინადადებით ახალციხის უნივერსიტეტის ნაცვლად „მესხეთის უნივერსიტეტი" უწოდეს) ახალგაზრდა რექტორი – მერაბ ბერიძე –საქმიანი, ნიჭიერი კაცია.

11 ივნისის გაზეთ „წიგნის სამყაროში" ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდა. მესაუბრა ჟურნალისტი მზია ნარმანია. პროტესტი გამოვთქვი ე.წ. სახელმწიფო საბჭოში" მწერალთა სიჭარბის წინააღმდეგ, გავაკრიტიკე სახელმწიფო საბჭოს პოზიცია თურქი მესხების ჩამოყვანასთან დაკავშირებით.

ვ.გოგუაძემ (საბჭოს მდივანი) თავდაჯერილად მაგრძნობინა, შევარდნაძეს არ ესიამოვნაო.

რა ვქნა. მთავრობების ცვლა ზოგიერთივით ჩემს პრინციპებს ვერ შემაცვლევინებს.

ივნისის პირველ რიცხვებში ტელევიზიით გამოვედი და ვთქვი: რატომ სდუმს ჩვენი მეგობარი დასავლეთი. რატომ არ უგზავნის ბეიკერი ნოტას რუსეთს, გაზი რომ გადაგვიკეტა-მეთქი. ან ჩვენი სახელმწიფო საბჭო რატომ არ აკეთებს განცხადებას მსოფლიოს გასაგონად-მეთქი?

არც ეს ესიამოვნებოდა შევარდნაძე-სიგუას.

ახალციხეში გვიცანი ორი კარგი ქართველი – იური გულაშვილი და რაგული სამსონიძე. საქმის ხალხი. გულაშვილმა, სათევზე მინდოდა გამემართა, დავიწყე კიდეც ეს საქმე, მაგრამ იმდენი თოფიანი კაცი დამესია (ფულის გამოძალვის მიზნით), რომ იძულებული ვარ ან თავი დავანებო, ან ავტომატიანი მოყმე დავიქირავო, რათა დამიცვასო. იქვე იყო ჩემი მეგობარი პროკურორი გოჩა მარტინაძე.

მინდა, თუ მშვიდობა იქნა, ორი თვით ჩავიდე მესხეთ-ჯავახეთში და ნოველების ციკლი შევქმნა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრაგედიაზე საუბარი გრძელდება

გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ტრადიციულ შეხვედრაზე ისაუბრეს სოფელ სიდაში რუსეთის სამშვიდობო ძალების პოსტზე სერჟანტ ევგანოვის მიერ დატრიალებულ ტრაგედიაზე. ასევე სოფელ ზემო ბარღებში რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯავშანტექნიკის აფეთქების შესახებ, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი და დაიჭრა რვა ჯარისკაცი. აფხაზურმა მხარემ ქართველებს ჭუბურხინჯის გამგებლის ზურაბ ქიშმარია-დაგარგულიას შესახებ ინფორმაციის მიწოდება სთხოვა. მათივე ინფორმაციით 1 ივნისს სოფელ ჭუბურხინჯიდან გაიტაცეს ბიძაშვილები ზაურ და ზურაბ პერტიები. აფხაზებმა მათი ადგილსამყოფელის დადგენა ითხოვეს.

## გენერალი მომხდარს არ უარყოფს

აფხაზეთში სამშვიდობო ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი დოლია ბაბენკოვი ქართულ პრესაში უკანასკნელი კვირის მანძილზე გალის რაიონის ტერიტორიაზე დატრიალებული მოვლენების გაშუქებით უკმაყოფილოა. მისი აზრით, მომხდარის ირგვლივ ქართულ პრესაში გამოთქმული მოსაზრებები სამშვიდობო ძალებში არსებული ვითარების შესახებ, სინამდვილეს არ შეეფერება. გენერალი მომხდარს არ უარყოფს. მაგრამ იგი მოვლენების ინტერპრეტაციის წინააღმდეგია.

## „არ გვსურს ვიყოთ არასასურველი სტუმრები, მაგრამ..."

სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გაყვანის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებას კომენტარი გაუკეთა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა ივან რიბკინმა: „ჩვენ არ გვსურს ვიყოთ არასასურველი სტუმრები და თავსაც არავის ვახვევთ ჩვენს სტუმრობას, მაგრამ სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გაყვანის შემდეგ დაე, ყველამ შესვას თავისი წილი ფიალა".

## შამბა მოსკოვშია

მოსკოვში იმყოფება აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, სადაც რამოდენიმე დღეს დაჰყოფს. დაგეგმილია შეხვედრები რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასა და საქართველოს ელჩთან რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძესთან.

● *წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"*

# ყველა ტიროდა, მაგრამ ხრუშჩოვი უიმედოდ მოსთქვამდა...

**ფილიპ ბობკოვი**

წავიკითხე და ჩავფიქრდი. არის კი საჭირო, რომ ჩემმა ნაცნობმა იცოდეს ეს სიმართლე? ხომ არ სჯობს, რომ მის მეხსიერებაში იგი ისეთივე დარჩეს, როგორიც იყო?

გადიოდა თვეები. მე პასუხს ვაჭიანურებდი, მაგრამ ძმისშვილი მტკიცედ იდგა თავისაზე და ისეთი საყვედურებიც შემომკადრა, რომ თითქოს რაღაც უსამართლობას ვმალავდი.

ერთხელაც, ჩვენ შევხვდით ლუბიანკაზე, ჩემს კაბინეტში, სუკ-ის ახალ შენობაში. დავსხედით ერთმანეთის პირდაპირ, დაძაბულები ვართ. იგი, ბუნებრივია, დაძაბულია (ხედავს თავისი ბიძის საქმეს), მე კი – არანაკლებად, ვიცი, რა დარტყმა ელის. ფრთხილად დავიწყე ლაპარაკი, იქნებ სჯობდეს მოკლედ მოვუთხრო საქმის არსი, დავუბრუნო გადარჩენილი საბუთები, ფოტოსურათები, გავაცნო სასამართლოს მასალები. ეს მას არ აწყობდა და არც აკმაყოფილებდა.

მეტი აღარაფერი მრჩებოდა, უნდა მეჩვენებინა ყველაფერი. ჩუმად წაიკითხა ყველაფერი, დიდხანს იჯდა, წამოდგა და წავიდა. ჩემმა თანაშემწეებმა მითხრეს, რომ ჩემი კაბინეტიდან ძლიერ შეცვლილი ადამიანი გამოვიდა. ჩემი ნაცნობი, ვინც დიდი ტრავმა განიცადა წარსულთან შეხვედრის გამო, ბოდიში მიხდის, რომ მადლობის გარეშე და დაუმშვიდობებლად დამტოვა. შემდეგ დაუმატა: „თქვენ მართალი იყავით. მე ეს არ უნდა წამეკითხა". სანუგეშო სიტყვების გარდა, მე არაფერი არ დამრჩენოდა.

შემდეგ ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ ამ თემას აღარ შევხებივართ. თუმცა, თითოეულმა ჩვენებურად განვიცადეთ მომხდარი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჩემს მიერ, ან ჩემი მონაწილეობით მიღებული ყველა გადაწყვეტილება არ იყო უნაკლო. ბევრ შემთხვევაში დღეს სხვანაირად მოვიქცეოდი. მაგრამ ეს უკვე დღევანდელი დღის პოზიციიდან გაკეთებული შეფასებაა, თუმცა არც მაშინ არ მიღალატია სინდისისა და კანონის პრინციპებისათვის.

მაშ ასე, XX ყრილობის შემდეგ სუკ-ში რთული მდგომარეობა იყო. თუმცა მის ორგანიზმში ბევრი ჯანმრთელი ნაწილი იყო. სწორედ მათი წყალობით ხდებოდა სისტემის გარდაქმნა.

მაგრამ ყოველივე ეს არ იყო ადვილი გასაკეთებელი. სეროვი მისთვის ჩვეულ პოზიციაზე იდგა – დამსჯელმა ორგანომ უნდა დასაჯოს. პროფილაქტიკური მუშაობა, რომელმაც თავიდან უნდა აიცილოს დანაშაული, მხოლოდ საპარადო გამოსვლებში მოიხსენიებოდა.

ხრუშჩოვმა იმ დროს არაერთხელ განაცხადა საჯაროდ, თითქოს ქვეყანაში აღარ არიან პოლიტიკური პატიმრები. ეს ჭეშმარიტებისაგან შორს იყო.

ვერ ვიტყვი, რომ სეროვის მიმართ დიდი პატივისცემით იყვნენ განწყობილი. მოუქნელობა, დაშტამპული აზროვნება იწვევდა გაუფრთხილებლობას. აქტივის კრებებზე მისი გამოსვლები ძირეულად განსხვავდებოდა წინამორბედების სიტყვებისაგან.

არავისთვის არ იყო გასაკვირი, მაგალითად, მისი მოქმედება თბილისის მღელვარების დროს, რომელიც პარტიის XX ყრილობის შემდეგ დაიყო 1956 წლის მარტში.

იქ მე ჩავედი თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად, სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილის ს.ს.პელჩენკოს ხელმძღვანელობით. მოსკოვში დარჩენილი სეროვი მოითხოვდა, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ გამოგვევლინა კონტრრევოლუციური შეთქმულების ორგანიზატორები. ასეთები კი არ იყვნენ, რამეთუ არ ყოფილა არავითარი შეთქმულება.

საქართველოს მოსახლეობა ძალზე მტკივნეულ რეაქციას ამჟღავნებდა XX ყრილობაზე ხრუშჩოვის მოხსენებაზე. რესპუბლიკაში სტალინისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებული იყო. ქართველთა უმრავლესობისათვის იგი ეროვნული გმირი იყო. მისი გარდაცვალების თარიღი ყოველ წელს აღინიშნებოდა მისი ძეგლების გვირგვინებით შემკობით, მასობრივი მიტინგებით, სრულდებოდა მისი საყვარელი სიმღერები, წარმოთქვამდნენ მგზნებარე სიტყვებს.

ასე იყო 1956 წლამდე. მოსახლეობისათვის უცნობმა ხრუშჩოვის მოხსენებამ, მისი შინაარსის შესახებ დამახინჯებულმა ხმებმა გამოიწვიეს მრავალნაირი ინტერპრეტაცია და ათასგვარი ჭორები. ბევრი მოხსენების შინაარსს გადმოსცემდა ბერიას საბრალდებო დასკვნის ფრაგმენტების გამოყენებით, რომელიც მანამდე ყველა კოლექტივში იქნა წაკითხული. ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა. ვერავინ პარტიის ცკ-ში ვერ მოიფიქრა, რომ ხალხამდე მიეტანა ნამდვილი ინფორმაცია, გაეგზავნა რესპუბლიკაში გამოცდილი პროპაგანდისტები, რომლებიც ხალხს განუმარტავდნენ დოკუმენტის შინაარსს. ჩვენც კი, მოსკოვიდან წარგზავნილებს, არავინ გაგვაცნო XX ყრილობის გადაწყვეტილებანი.

გარდა ამისა, აღმოჩნდა გამჭრიახი ჩინოვნიკი ანდა პროვოკატორი და მისცა მითითება, რომლის მიხედვითაც ყვავილების მაღაზიებს აეკრძალათ გვირგვინების გაყიდვა შესაბამისი წარწერის ლენტებით. მღელვარება განსაკუთრებულად გაძლიერდა სტუდენტთა შორის. ყვავილების მაღაზიას აძლევდნენ შეკვეთას მოგონილ სახელებზე, შემდეგ შლიდნენ ამ ადგილებს და ცვლიდნენ სტალინის სახელით. სტუდენტები პირველნი გამოვიდნენ ქუჩაში სტალინის სახელის დაცვის მოთხოვნით. დილისათვის ძეგლთან ათობით ათასმა კაცმა მოიყარა თავი.

მტკვრის სანაპირო, სადაც კერპის უზარმაზარი მონუმენტი იდგა, ვერ იტევდა მომსვლელებს და XX ყრილობისადმი პროტესტის გამოხატვის მსურველებს.

რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისში, ბათუმში, გორში, სოხუმში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში განუწყვეტელი მიტინგები ტარდებოდა. ადგილობრივი ხელისუფლება დიდად დაბნეული იყო; ერთი მხრივ, მათ უნდა შეესრულებინათ XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეორეს მხრივ კი როგორმე ხალხი უნდა დაეშოშმინებინათ, რომელსაც არ ესმოდა თუ რა ხდებოდა განმარტებითი სამუშაოს ნაცვლად, მათ ვერაფერი იმაზე უკეთესი ვერ მოიფიქრეს, რომ მომიტინგეებს სოლიდარობა გამოუცხადეს და ამ გზით ცდილობდნენ წესრიგის დამყარებას. ხალხი კი ერთს მოითხოვდა, სცოდნოდა ყველაფერი, რა მოხდა XX ყრილობაზე, რა საფუძველზე აკრიტიკებენ სტალინს.

მაგონდება ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის, მაყვალა ოქროპირიძის სიტყვები, რომელიც მიტინგის ორგანიზაციაში იღებდა მონაწილეობას ქალაქ გორში:

– თქვენ მოითხოვთ, რომ უარვყო სტალინი, მაგრამ გახსოვდეთ, მე გორში დავიბადე. იმ სახლის მოპირდაპირე სახლში გავიზარდე, სადაც სტალინი ცხოვრობდა. სტალინის სახელობის სკოლა დავამთავრე, ვიყავი სტალინის სახელობის სტიპენდიანტი. დიპლომიც სტალინზე მაქვს დაცული. დაბოლოს, ამჟამად ვარ გაზეთის რედაქტორი, რომელსაც ეწოდება „სტალინის მოდგმა". მე არ მესმის, რა ხდება!

ბევრმა ინფორმაციისათვის მიაკითხა ჩინეთის დელეგაციას ჩჟუ დეს ხელმძღვანელობით, რომელმაც XX ყრილობის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა და იმჟამად თბილისში იმყოფებოდა. ჩინეთის დელეგაციის წევრებმა მოინახულეს მიტინგები და ათასობით წერილობითი მიმართვა შეაგროვეს სტალინის მხარდასაჭერად.



თბილისის ვაგზალზე პიონერები ხვდებიან ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს

9 მარტს რამდენიმე ათასი მომიტინგე მდინარე მტკვრის სანაპიროდან ალექსანდროვის აღმართის ავლით რუსთაველის პროსპექტზე მდებარე კავშირგაბმულობის სახლთან მივიდა. სახლის აივნისაკენ მათ მოუწოდა ვინმე ყიფიანმა, რომელიც ბრბოს წინაშე პროვოკაციული მოხსენებით გამოვიდა. ბრბოდან ვიღაცამ გაისროლა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება.

კავშირგაბმულობის სახლს ჯარისკაცთა მცირე ჯგუფი იცავდა. ისინი იოლად მოიცილეს და შევიდნენ შენობის შიგნით. ჯარისკაცები გალახეს. ერთ-ერთმა მათგანმა თავდაცვის მიზნის გაისროლა მაღლა, ტყვიები რიკოშეტით ქვემოთ წამოვიდა. არეულდარეულობაში რომელიღაც ჯარისკაცმა ბრბოს მიმართულებითაც გაისროლა. იმ დღეებში თბილისში ოცდაერთი ადამიანი დაიღუპა.

მათი ქცევა, ვინც მოხვდა საოპერაციო დარბაზში, ადასტურებს, რომ მასობრივი გამოსვლები სტიქიურად მოეწყო და არავითარ ორგანიზაციას ადგილი არ ჰქონდა, როგორც უნდოდათ ზოგიერთებს ამის წარმოდგენა მოსკოვში.

კავშირგაბმულობის სახლში შესულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, არ იცოდნენ, რა ეკეთებინათ. ერთნი რადიოსტუდიას ეძებდნენ, რათა მთელი მსოფლიოსთვის ეცნობებინათ თბილისის ამბები, სხვანი მოსკოვში გასაგზავნ დეპეშას ადგენდნენ, სტალინს ნუ ერჩითო. ისეთებიც იყვნენ, ვინც მოლოტოვს დაბადების დღეს ულოცავდნენ დეპეშით. ამ მოვლენებმა ის მოიტანა, რომ ქალაქში ჯარები შეიყვანეს და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს, რომელიც, ერთი ღამის შემდეგ მოიხსნა.

თბილისის ქუჩებში მაშინ ასობით ადამიანი დააპატიმრეს. სუკ-ი რაღას აკეთებდა? მშვიდად ადევნებდა თვალყურს მოვლენათა განვითარებას? სულაც არა. საქართველოს სუკ-ი ცენტრალური აპარატის თანამშრომლებთან ერთად ელვისებურად გაერკვა სიტუაციაში, დააკავეს უწესრიგობათა ჭეშმარიტი წამომწყებები და ყველა დანარჩენი გაათავისუფლეს. მათ მიერ შედგენილი დოკუმენტი, მძიმე შედეგების გამომწვევი მიზეზების შესახებ დასკვნებით, სერიოზულად იყო არგუმენტირებული და იოტისოდენა ეჭვს არ იწვევდა.

უნდა განვაცხადო, რომ ეს იყო თითქმის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღებოდა ოპერატიულად, ცენტრთან რაიმე შეთანხმების გარეშე. მთავარი ამოცანა იყო იმათი განთავისუფლება, ვინც უნებურად გახდა ცრუ პროპაგანდის მსხვერპლი. ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. ცენტრის მრავალ მოხელეს ჩვენგან სურდა მოესმინა, თითქოს თბილისში არსებობდა XX ყრილობის გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ მოქმედი შტაბი. ვიღაც-ვიღაცეები პარტბილეთების წართმევითაც კი გვემუქრებოდნენ იმისათვის, რომ ჩვენ თითქოს მღელვარების ორგანიზატორები გავანთავისუფლეთ, ყველა, გარჩევის გარეშე. მაგრამ მოსკოველი და თბილისელი ჩეკისტები ღირსეულად გამოვიდნენ სიტუაციიდან და მასობრივი რეპრესიებისაკენ არ გადადგეს ნაბიჯი.

ნუთუ მოსკოვში არავინ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ აღიქმებოდა საქართველოში გაღმერთებული სტალინის დანაშაულებათა მხილების ფაქტები? განა ნათელი არ არის, რომ იქ უნდა გაეგზავნათ გამოცდილი პროპაგანდისტები, რომლებიც გასაგებად და დამაჯერებლად აუხსნიდნენ ხალხს საქმის ნამდვილ ვითარებას. დარწმუნებული ვარ, მრავალი თბილისელი გაიგებდა XX ყრილობის გადაწყვეტილებათა სიმართლეს. პარტიის ხელმძღვანელობას ეს უნდა გაეთვალისწინებინა.

არაერთმნიშვნელოვნად იქნა გაგებული XX ყრილობის გადაწყვეტილებები საზღვარგარეთ. „პრავდამ" გადმობეჭდა ჩინური „ჟენმინ-ჟიბაოს" სარედაქციო სტატია, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა სტალინის მხილების ფაქტი. ამან ზოგიერთი კომუნისტის მხარდაჭერა ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. სკკპ ცკ-ში, რა თქმა უნდა, ამ სტატიამ ერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია. არც ჩინეთთან უნდოდა საბჭოთა ხელმძღვანელობას ურთიერთობის გაფუჭება, არც ამ სტატიის უყურადღებოდ დატოვება შეიძლებოდა. მაშინ ხრუშჩოვი გამოვიდა მიღებაზე ჩინეთის საელჩოში, სადაც დადებითი შეფასება მისცა სტალინს. მან განაცხადა, რომ არავის მისცემს მისი შეურაცხყოფის უფლებას. გაუგებარი იყო: ერთი მხრივ სტალინი დამნაშავეა, ხოლო მეორე მხრივ – „არავის არ მივცემთ უფლებას..." და ამას ერთი და იგივე ადამიანი ამბობს, პარტიის ლიდერი. ამგვარი ორსახოვნება ეჭვებსა და უნდობლობას ბადებდა.

სტალინის პიროვნების კულტის მხილებამ ჩვენს ქვეყანაში ძირითადად მხარდაჭერა ჰპოვა, მაგრამ ბევრი უხერხულობა მოჰქონდა გარკვეულ უთქმელობას, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების დამახინჯებას. და რაც მთავარია – ნანგრევებზე, თითქოსდა განადგურებული სტალინის კულტის ნანგრევებზე ახალი იქმნებოდა. სტალინის დანაშაულებათა მხილება გრძელდებოდა, მაგრამ იმავე დროს ისინი იღებდნენ დარტყმებს, ვინც გადამწყვეტი ზომების მომხრე იყო და წარსულისაგან გამიჯვნას მოითხოვდა.

თბილისში მომხდარი მოვლენები უშიშროების ორგანოების თანამშრომლებისათვის სერიოზული გაკვეთილი გახდა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №47,48,49,50,51.

**გაგრძელება იქნება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თურმე საკითხი უკვე გადაუწყვეტიათ

„საქართველოს მხრიდან დღეს ამ საკითხის დასმა გაუმართლებელია, ვინაიდან 1992 წელს დსთ-ს ქვეყნების მეთაურების მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, რომელიც ფლოტის გაყოფას ეხება, არაფერია ნათქვამი საქართველოს რაიმე წილის შესახებ“ - განაცხადა რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა ვალერი სეროვმა. „ფლოტის გაყოფისას რომელიმე მესამე მხარის მონაწილეობა გამორიცხულია, ვინაიდან საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია“ - დასძინა მან.

## მოაწერეს ხელი შეთანხმებას

გროზნოში იმყოფება სტავროპოლის მხარის დელეგაცია, რომელსაც გუბერნატორი ალექსანდრე ჩერნოგოროვი ხელმძღვანელობს. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა და სტავროპოლის გუბერნატორმა თანამშრომლობის შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომელიც 3 წლის ვადით დაიდო. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ მხარეები ვალდებულებას იღებენ განავითარონ სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული კავშირებისა და ურთიერთნდობის საკითხები.

## გაანთავისუფლეს ჟურნალისტები

სამი თვე გავიდა ჩეჩნეთში რუსეთის ჟურნალისტების გატაცებიდან. ამ ხნის განმავლობაში მათ შესახებ რეალურად არაფერი იყო ცნობილი. 5 მაისს გამტაცებლებმა ჟურნალისტები გაანთავისუფლეს და დაღესტნის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს მუჰამედ ტალპოევს გადასცეს. იმავე დღეს ჟურნალისტები მახაჩკალიდან მოსკოვში უვნებლები ჩამოფრინდნენ. განთავისუფლების დეტალები ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ ცნობილია, რომ ჟურნალისტები ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე იქნენ განთავისუფლებულნი. რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ივან რიბკინი ამ ფაქტს ჩეჩნეთის ხელისუფლების, კონკრეტულად კი ასლან მასხადოვის მკაცრი მოქმედების წარმატებად მიიჩნევს.

## მიმდინარეობს საპარლამენტო არჩევნები

ალჟირში, სადაც გრძელდება ბრძოლა ისლამისტებსა და საერო ხელისუფლებას შორის, მიმდინარეობს საპარლამენტო არჩევნები. ალჟირის დამოუკიდებლობის შემდეგ პირველად ეწყობა ქვეყნის საპარლამენტო არჩევნები. 380 მანდატისათვის 39 პოლიტიკური პარტია იბრძვის. აღსანიშნავია, რომ არჩევნებში ისლამური გადარჩენის ფრონტი ვერ მიიღებს მონაწილეობას, რადგან ახალი საარჩევნო კანონით რელიგიური ნიშნით შექმნილი პარტიები აკრძალულია. ამიტომ ისლამისტები არჩევნების ჩაშლას ცდილობენ. საარჩევნო პუნქტებს პოლიციის გაძლიერებული რაზმები იცავენ, რათა თავიდან იქნას აცილებული პროვოკაციები. ორგანიზაცია „ისლამური გადარჩენის ფრონტმა“ არჩევნებს ხელისუფლების მორიგი ხრიკი უწოდა, მათი აზრით, ალჟირის ხელისუფლებას სურს სამხედროების ლეგიტიმურობა ხელისუფლებაში.

# პრესის თავისუფლების ქარტია



*თავისუფალი პრესა ნიშნავს თავისუფალ ხალხს, სწორედ ამიტომ ქვემოთ მოყვანილი პრინციპები დაფუძნებულია ინფორმაციის თავისუფალ გაცვლაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ და სარგებლობს ყველა იმ ძალათა მხარდაჭერით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებითა და დემოკრატიის პრინციპების დაცვით.*

1. ყოველნაირი ცენზურა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მიუღებელია. კანონები და პრაქტიკული ბარიერები, რომელიც ზღუდავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ინფორმაციის თავისუფლად შეგროვებისა და გავრცელების უფლებას, უნდა გაუქმდეს. ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ჩარევა დაწერილი თუ გადაცემული ცნობების შინაარსის ჩამოყალიბებაში, ასევე ინფორმაციის მიღების დროს, დაუშვებელია.

2. ყველა ქვეყანაში მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დამოუკიდებელი ორგანოები, პრესა, რადიო და ტელევიზია თავისუფლად უნდა ყალიბდებოდეს და ფუნქციონირებდეს.

3. დაუშვებელია ხელისუფლების მხრიდან მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ეკონომიკური და სხვა სახის დისკრიმინაცია. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებები დამოუკიდებელი პრესის ორგანოები, იგივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ და თავისუფლად უნდა შეეძლოთ მასალის მოპოვება და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რაც საჭიროა მათი პროდუქციის ბეჭდვის, ან რადიო-სატელევიზიო გადაცემებისათვის.

4. სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს ქაღალდის, ტიპოგრაფიის, რადიო სისტემების, კავშირგაბმულობის არხების, ახალი ამბების სააგენტოების, სიხშირეების გამოყენების შესაძლებლობა.

5. ჩვენ ვგმობთ კავშირგაბმულობის საშუალებათა მაკონტროლებელი ორგანოების ყოველ იურიდიულ, ტექნიკურ და სატარიფო წესს, რომელიც დაბრკოლებას შეუქმნის და შეზღუდავს ინფორმაციის ნაკადის გავრცელებას.

6. სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ უფლება გამოაქვეყნონ განსხვავებული აზრი. ეს მოთხოვნა უნდა განმტკიცდეს კანონითა და პრაქტიკით.

7. ბეჭდვით და მაუწყებლობის ორგანოებს ქვეყნის შიგნით უნდა ჰქონდეთ ინფორმაციის მიღების თავისუფლება ქვეყნის გარედან. ასევე ფართო საზოგადოებამაც შეუზღუდავად უნდა ისარგებლოს საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი პუბლიკაციების, ტელე და რადიოგადაცემების მიღების დროს.

8. საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის ეროვნული საზღვრები ღია უნდა იყოს. არ უნდა მოქმედებდეს არავითარი ქვოტა მათი რაოდენობისა და მიღების შეზღუდვის მიზნით. დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს ვიზების, პრეს-ბარათების და სხვა დოკუმენტების გაცემა. საზღვარგარეთელ ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი გადაადგილების უფლება ქვეყნის ყველა წერტილში. ასევე მათ შეუზღუდავად უნდა მიეცეს ოფიციალური თუ არაოფიციალური ინფორმაციის მოპოვების საშუალება.

მათ უნდა ჰქონდეთ სრული თავისუფლება შეიტანონ და გაიტანონ ქვეყნიდან პროფესიული საჭიროებისთვის აუცილებელი მასალები და აპარატურა.

9. დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს ლიცენზიებისა და სხვა ოფიციალური მოწმობების მოთხოვნა ჟურნალისტური მოღვაწეობის დაწყებისათვის.

10. ჟურნალისტები, სამოქალაქო პირების მსგავსად უნდა სარგებლობდნენ პიროვნების ხელშეუხებლობითა და კანონის მხრიდან სრული დაცვის გარანტიით. საომარი მოქმედების ზონაში მომუშავე ჟურნალისტები ითვლებიან სამოქალაქო პირებად და სარგებლობენ ყველა უფლებითა და იმუნიტეტით, რაც სხვა სამოქალაქო პირებს აქვთ მინიჭებული.

## რამდენიმე განმარტება პრესის თავისუფლების ქარტიის შესახებ

პრესის თავისუფლების ქარტია ეყრდნობა 1987 წლის 16-18 იანვარს ლონდონში გამართული მსოფლიო კონფერენციის - თავისუფლების ხმის - რეზოლუციებს, რომელიც მიიღო 34 ქვეყნის ჟურნალისტმა. კონფერენცია მიეძღვნა მსოფლიოში ცენზურის პრობლემებს.

კონფერენცია ჩატარდა მსოფლიო თავისუფალი პრესის კომიტეტის მიერ, გაზეთების გამომცემელთა საერთაშორისო ფედერაციასთან, პრესის საერთაშორისო ინსტიტუტთან, პრესის საერთოამერიკულ ასოციაციასთან, რადიომაუწყებლობის ჩრდილოამერიკულ ეროვნულ ასოციაციასთან და პერიოდული პრესის საერთაშორისო ფედერაციასთან ერთად.

ქარტიაში ასახული დებულებები საყოველთაოდ მიღებული პრინციპებია, რაც საჭირო და აუცილებელია მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა თავისუფლების უზრუნველსაყოფად. იგი მიღებულ იქნა 1989 წლის ეუთოს საინფორმაციო ფორუმზე. ასევე, 1991 წლის სექტემბრის მოსკოვის „მრგვალი მაგიდის“ შეკრებაზე ეუთოს ეგიდით „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პარალელური მოქმედების შესახებ“. 1991 წლის ნოემბერში ოსლოში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების სემინარზე ექსპერტების მიერ პრესის თავისუფლების ქარტია კიდევ ერთხელ იქნა დამტკიცებული.

ქარტიას მე-4 პუნქტი დაემატა მოსკოვის შეხვედრაზე მიმართულებების მეტი დაზუსტების მიზნით, რაც გამოწვეული იყო აღმოსავლეთ ევროპასა და დაშლილი საბჭოთა კავშირის ახალ რეალობაში წარმოქმნილი გარემოებებით.

ქარტია ასევე წარდგენილი იყო 1992 წელს ეუთოს ჰელსინკის შეხვედრაზე. დელეგატები დაეთანხმნენ მის პუნქტებს, შენიშვნები არ ყოფილა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც, სადაც კი საუბარი იქნება თავისუფლების პრინციპებზე და დამოუკიდებელი პრესის პრობლემებზე, პრესის თავისუფლების ქარტიის განხილვა და მისი ფუნდამენტური ჰუმანური იდეების მიღება სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს.

წინამდებარე დოკუმენტი გადმოგვცა მსოფლიოს თავისუფალი პრესის კომიტეტის ევროპის განყოფილების ხელმძღვანელმა ბატონმა რონალდ კოვენმა. ვფიქრობთ, რომ მან დიდი სამსახური გაგვიწია, როგორც ქართველ ჟურნალისტებს, ასევე ჩვენს კანონმდებლებსაც, რომლებსაც განზრახული აქვთ მსოფლიო დონის მყარი საკანონმდებლო ბაზა შექმნან პრესისა და საინფორმაციო საშუალებების შესახებ.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოში არსებულ პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებს, ასევე ყველა ჟურნალისტს, თავისი აზრი გაგვიზიაროს ქარტიის შესახებ და შეურთდეს ქარტიის პრინციპებს, რის შესახებაც განაცხადი გაუგზავნონ მსოფლიოს თავისუფალი პრესის კომიტეტის ევროპის განყოფილებას ან პირდაპირ, ან ჩვენი მეშვეობით.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია
„ჟურნალისტთა კავკასიური კლუბი“.

European Representative:
Ronald Koven
9, place du President Mithouazd 75007 Paris, France





# აფხაზეთის მდგომარეობის შესახებ

ნოდარ ნათაძე

მეხუთე გვერდიდან

რუსეთს დაქვემდებარებული ხელისუფლებისათვის), მაგრამ იგი ღიაა ეროვნული ხელისუფლებისათვის. ეს გზა, კერძოდ, შემდეგია

ა) პირველ ყოვლისა, აუცილებელია აფხაზეთში რუსეთის აგრესიული როლის დაფიქსირება არა პრეზიდენტის ინტერვიუებისა და საპარლამენტო გამოსვლების ფორმით, არამედ *ოფიციალური დოკუმენტების (მათ შორის – რუსეთისადმი მიმართული ნოტების)* ფორმით. აუცილებელია აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის – გაეროს) შუამავლობის მოთხოვნა არა ქართულ და აფსუურ „მხარეებს", არამედ *საქართველოსა და რუსეთს* შორის. ეს წმინდა-დიპლომატიური თავდაცვითი ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას *დაუყოვნებლივ*. მათი ენერგიული განხორციელება გარდუვალად შეაჩერებს ან, სულ ცოტა, შეზღუდავს რუსეთის აგრესიული მოქმედების შესაძლებლობებს და გაზრდის საკითხის როგორც სამხედრო, ისე მოლაპარაკებაზე დამყარებული გადაჭრის პერსპექტივას.

ბ) როგორც ორმხრივი (ქართულ-აფსუური), ისე მრავალმხრივი მოლაპარაკებების პროცესში ქართული მხარე სრულად და უშეღავათოდ უნდა იცავდეს თავის პოზიციებს, სხვა ყველა პარამეტრთან ერთად, ისტორიის სფეროშიც (მიუხედავად იმისა, რომ ისტორია არ არის და ვერ იქნება გადამწყვეტი საბუთი უფლებრივი და პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში). სახელდობრ, ქართული მხარე ხაზგასმით უნდა იმოწმებდეს იმ ფაქტს, რომ ქართველები აფხაზეთში ავტოხთონური (ისტორიულად მკვიდრი) მოსახლეობა არიან და *აფხაზეთი ქართველი ერისათვის მისი ეთნიკური ტერიტორიის ერთი ნაწილია*. (აგრეთვე რომ ამ ტერიტორიის მდიდარი ფეოდალური ცივილიზაცია *მხოლოდ* ქართულენოვანია, რომ აქ სხვა სხელმწიფოებრიობა, გარდა ქართულენოვანისა, არასოდეს არ ყოფილა და ა.შ., ხოლო აფსუურ მოსახლეობას ამ ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობისთვის თავისი ენობრივი კვალი არ დაუჩნევია და ა.შ.). არ უნდა იმალებოდეს ის ფაქტი, რომ აფსუებისა და ისტორიული აფხაზების ეთნიკური იგივეობის რაიმე საბუთს ისტორია არ იცნობს და რომ ცნობილია დღევანდელ აფსუათა დიდი ნაწილის XVII-XVIII სს-ებში ჩრდილო კავკასიიდან მიგრირებულობის ფაქტი. ამ ფაქტთა კონსტატაცია *გააძლიერებს* ქართული მხარის პოზიციას ობიექტურ უცხოელთა თვალში და *მოხსნის* იმ შთაბეჭდილებას, თითქოს აფხაზეთი საქართველოს მიერ ოდესღაც *მიერთებული* უცხო ქვეყანაა. ხაზგასმით უნდა ხდებოდეს იმის კონსტატაციაც (წინააღმდეგ საქართველოს სახ. მეთაურის და შემდეგ პრეზიდენტის ე.შევარდნაძის არაერთგზის განცხადებებისა), რომ არავითარი ანალოგია ქართულ-აფხაზურ და რუსულ-ჩეჩნურ მიმართებებს შორის არ არსებობს. მოლაპარაკებათა ტაქტიკის ეს ძირეული შეცვლაც შესაძლებელია *დაუყოვნებლივ*, მას სხვა წინასწარი ნაბიჯების გადადგმა არ ესაჭიროება.

გ) აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ან შეიარაღებული ძალის გამოყენებით, ან მის გარეშე. *ორსავე შემთხვევაში აუცილებელია, რომ საქართველოს ჰყავდეს ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალა*. მაშასადამე, პრობლემის გადაჭრის აუცილებელი პირობაა *შეიარაღებული ძალის შექმნა* როგორც ზემო უკვე ვთქვით, ეს შეუძლებელია რუსულ დახმარებაზე ორიენტაციით (ვინაიდან რუსეთი ყოველთვის იმდენ იარაღს და ტყვია-წამალს მოგვცემს, რამდენიც სჭირდება ომის დაწყებას, მაგრამ არა იმდენს, რამდენიც სჭირდება მის მოგებას) და რუსული სპეცსამსახურების თვალწინ. აწყობილ უნდა იქნას საიმედოდ მოქმედი *მექანიზმი რუსული იარაღისა და ამუნიციის შეძენისა რუსეთის გარეთ* (გერმანია, უკრაინა...), აგრეთვე არარუსული წარმოების იარაღის ზოგიერთი სახეობისა სხვა ქვეყნებში. საომისო სახსრების მობილიზაცია შესაძლებელია, კერძოდ:

– ხელისუფლებასთან შერწყმული მაფიების მიერ ქვეყნის სისტემატური ძარცვის აღკვეთით (რაც წელიწადში, ყველაზე მცირე გაანგარიშებით რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს შეადგენს) და უკვე გატაცებული თანხების (რაც მილიარდობით დოლარს შეადგენს) ნაწილობრივი დაბრუნებით (დამტაცებელთათვის მკაცრი სანქციების შემოღების ფონზე, ქონებრივი სანქციების ფართო გამოყენების ჩათვლით).

– ქვეყნის ძირითადი უძრავი ეკონომიკური რესურსების – მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწის – გამოყენებით სათავდაცვო სამსახურის სტიმულირებისათვის.

– სატრანზიტო და სხვა ანალოგიურად „შემთხვევითი" შემოსავლებით.

– ეკონომიკის რაციონალური (და კორუფციისაგან არსებითად თავისუფალი) განვითარებით შექმნილი შემოსავლებით.

დ) როგორც უკვე ითქვა, წარმატებული ბრძოლა აფხაზეთისათვის საქართველოს შეუძლია მხოლოდ მისი დანარჩენი ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების *გასვლის* შემთხვევაში (1993 წლის 1 ივნისის პარლამენტის დადგენილების შესაბამისად) ან (სანამ მათი გასვლა ტექნიკურად განხორციელდებოდეს) ბაზებიდან მათი გამოსვლის საიმედოდ ბლოკირების შემთხვევაში, რაც *სავსებით* მიღწევადია წმინდა პოლიტიკური მეთოდით და რიგი სხვა ღონისძიებების დამატებით. პარალელურად აუცილებელია (და განხორციელებადია) საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედების პარალიზება დიდმასშტაბიანი საერთო-სახელმწიფოებრივი ოპერაციის ჩატარებით მისი აგენტურის უვნებელსაყოფად როგორც საქართველოს მოქალაქეთა, ისე რუსეთის მოქალაქეთა (სამხედრო მოსამსახურეთა) შორის.

ე) სახელმწიფო ყურადღების ცენტრში უნდა იყოს აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის, როგორც პრობლემის გადამჭრელი ძირითადი ბირთვის, მთლიანობისა და ერთიანობის შენარჩუნება, რათა იგი დაცული იყოს სხვადასხვა ადგილებში (მათ შორის – რუსეთში) „გაწოვისაგან", მრავალგვარი დეგრადაციისა და დემორალიზაციისაგან, რაც კანონზომიერად ახლავს ლტოლვილის ხვედრს ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში. ამ მოსახლეობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ამ პრობლემასთან დაკავშირებული საქმიანობები (წვრთნის ჩათვლით), რომლებიც ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, და ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავის სარჩოს უნდა იღებდეს ამ მუშაობისთვის გადახდილი ხელფასის სახით. ამის მისაღწევი ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) ქმედითი ორგანიზაციული ფორმაა, აფხაზეთის მთავრობას, როგორც დევნილთა შემოკრების ცენტრის, ფუნქციობა.

ვ) ტელევიზიით (რომელმაც 1992-93 წლების ომის დროს მხოლოდ საზოგადოების ფსიქოლოგიური დაუძლურებისა და დემილიტარიზაციის მიმართულებით იმუშავა) და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უნდა მოხდეს საქართველოს მოსახლეობის ფსიქოლოგიური მობილიზაცია აფხაზეთის პრობლემის გადასაჭრელად (მას უნდა გაუცნობიერდეს ისტორიულმასშტაბიანი კატასტროფა, რომელიც საქართველოს ემუქრება, დღევანდელი განსაცდელი, ჩატარებული გენოციდის მასშტაბი და სისასტიკე, და სხვ.)

ზ) დევნილთა იმედს არ უნდა კვებავდეს აბსტრაქტული ცრუ დაპირებები, როგორც ახლა კვებავს. მას უნდა კვებავდეს შეიარაღებულ ძალთა ბრძოლისუნარიანობის უწყვეტი ზრდის პროცესი, რომელსაც იგი თვალს ადევნებს დასაშვებ ფარგლებში.

ქართველი მოსახლეობის გენოციდის და ქართველთაგან აფხაზეთის ეთნიკური „წმენდის" ყველა მონაწილეთა დასჯა კანონის მთელი სიმკაცრით საქართველოს ხელისუფლების მტკიცე და ცალსახა პრინციპი უნდა იყოს.

## საბოლოო დარეგულირება აფხაზეთში

საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია, იგი დაინტერესებული უნდა იყოს და იგი ერისა და ქვეყნის წინაშე ვალდებულია, რომ ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე გაცხადებული ჰქონდეს თავისი გეგმა აფხაზეთის ვითარების *საბოლოო* სამართლებრივი, პოლიტიკური და ფაქტობრივი დარეგულირების შესახებ, რომელიც მისაღები იქნება მხარეებისთვისაც და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისთვისაც. ეს მას შეუძლია იმიტომ, რომ ქართველი ერისა, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი, რომელსაც ჩვენ ვიცავთ, კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ემთხვევა კაცობრიობის მიერ დღეს უკვე მიღწეულ და აღიარებულ ზნეობრივ, სამართლებრივ და ჰუმანიტარულ ნორმებს და ჰარმონიაშია მათთან. საქართველოს დღევანდელი ნაკომუნისტარი ხელიუფლება ასეთ გეგმას ვერ შეიმუშავებს, რადგან მის ცნობიერებაში არ არსებობს ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ეთნიკური ტერიტორია, ერის თვითდამკვიდრება, ერის ისტორიულმასშტაბიანი ინტერესები და თვით ერის, როგორც ისტორიის თვითცნობიერი სუბიექტის, ცნებაც კი. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ და მოქმედებენ ისტორიულმასშტაბიან ეროვნულ ინტერესთა სამსახურში, ასეთი სქემა აქვთ. მისი პრინციპები შემდეგია:

ა) აფხაზეთი არ არის და ვერ განიხილება როგორც აფსუების ქვეყანა (როგორც მხოლოდ აფსუების ქვეყანა). იგი ქართველების ქვეყანაცაა, ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორია. აფხაზეთის ვითარების მოგვარება ნიშნავს არა *მხოლოდ* თბილისისა და სოხუმის ურთიერთუფლებამოსილებათა განსაზღვრას, არამედ აფხაზეთში ქართველი და აფსუა მოსახლეობის ურთიერთუფლებამოსილებათა განსაზღვრასაც.

ბ) აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. იგი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური ერთეულია, რომლის ხელისუფლების უფლებამოსილებები და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებები გამიჯნულია კანონით.

გ) საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ექნება უფლება და ექნება მექანიზმი, რათა არ დაუშვას არასასურველი იმიგრაცია აფხაზეთში (ისევე, როგორც საქართველოს ნებისმიერ სხვა ადგილას) საქართველოს გარედან; აფხაზეთის იმ ნაწილთა (ადმინისტრაციულ ერთეულთა) ხელისუფლებას, რომლებიც აფსუა ერის ეთნიკურ ტერიტორიად ჩაითვლება, ექნება უფლება და ექნება მექანიზმი, რათა არ დაუშვას მისთვის არასასურველი იმიგრაცია მოცემული ადმინისტრაციული ერთეულის გარედან.



### ჟოსპენი ახალ მთავრობას აყალიბებს

საფრანგეთში დასრულდა საპარლამენტო არჩევნები და ახლად არჩეული პრემიერ-მინისტრი ლეონელ ჟოსპენი შეუდგა ახალი მთავრობის ფორმირებას. საფრანგეთის ახალი თავდაცვის მინისტრია სოციალისტი ალან რიში, რომელიც განათლებით ეკონომისტია. განათლების მინისტრია იუბერ ვედრინი, იგი საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის მიტერანის პრეს მდივანი იყო, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრი ჟან პიერ შევენმანი გახდა. აღსანიშნავია, რომ სოციალისტებთან ერთად მთავრობაში კომუნისტებიც შევიდნენ, თუმცა, უმნიშვნელო რაოდენობით. იმდენად უმნიშვნელო, რომ ისინი არსებული ხელისუფლების გატარებულ პოლიტიკაზე გავლენას ვერ მოახდენენ.

### პრეზიდენტის შვილს ბრალდება წაუყენეს

სამხრეთ კორეის პროკურატურამ ამავე ქვეყნის პრეზიდენტს კიმ მიონ სანის ერთ-ერთ შვილს ოფიციალური ბრალდება წაუყენა. მას ბრალი ედება კორუფციაში. პროკურატურის წარმომადგენლების თქმით, საბრალდებო მოსმენა გრძელდება, თუმცა ჯერჯერობით ბევრი რამ დასადგენი და გამოსააშკარავებელია.

### ევაკუირებულია 300 მოსახლე

გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში აღმოჩენილ მსუბუქ მანქანაში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის გამო ქალაქიდან 300 მოსახლე იქნა ევაკუირებული. მანქანა იმ ადგილზე მარტიდან დგას. მიმდინარეობს გამოძიება.

### ისინი შეხვდებიან ფილარმონიის სასადილოში

გრძელდება „ვაშინგტონის გეგმის" 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები. ამჟამად ეს ღონისძიება ამერიკაში ტარდება, მასში მონაწილეობს გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლიც. მისი სტუმრობა ამერიკაში არაოფიციალური ხასიათისაა. იგი პრეზიდენტ კლინტონს შეხვდება არა რეზიდენციაში, არამედ ფილარმონიის სასადილოში, სადაც მათ გაუმასპინძლდებიან ორი ქვეყნის მენიუთი.

# რა, როდის და რომელ არხზე

## შაბათი, 7 ივნისი

**1** 9.00 „9-დან 12-მდე“ 12.00 „მოამბე“ 12.15 XXI 12.40 მლ.ფილმი 13.10 ლეგენდა როკზე 14.40 მესაკუთრე 14.55 მხ.ფილმი „სამხრეთული კომფორტი“ 16.40 კლუბი 700 17.10 შეხვედრა მხატვართან 17.25 მანა-96 18.00 „მოამბე“ 18.20 ინტერმეცო 18.40 საქართველოს კონსტიტუცია 19.10 ფეხბურთი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. საქართველო - მოლდავეთი 21.05 „მოამბე“ 21.35 რეკლამა 21.40 აუდიენცია 21.50 „ბასტი-ბუბუ“ 22.10 სტუდია „მაესტრო“ 23.30 მხოლოდ შოუ ბიზნესი 00.00 „ქვიშის საათი“

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“ 19.20 საბავშვო გადაცემა „ჩიპო“, სპორტული გადაცემა „5X5“, „ეკონომიქსი“, „ოლიმპო“, „პერსონა X“ 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“ 22.20 მხ.ფ. „სოდომისა და გომორის უკანასკნელი დღეები“ ნაწ. I.

**ОРТ** 09.00 Х/Ф "Ни пуха ни пера" 10.10, 16.20 Мультфильмы 10.40 Лотто-миллион 10.45 Домашняя библиотека 11.00, 16.00, 19.00 Новости 11.10 "Слово пастыря" 11.30"Утренняя почта" 12.05"Каламбур" 12.35 СМАК 13.00 "Возвращение Третьяковки" 13.20 Концерт 14.45 Поехали! 15.25 "Очевидное-невероятно" 17.10 Америка с Таратутой 17.40 В мире животных 18.15 Колео истории 19.20, 01.10 Тенис, открытй чемпионат Франции 19.40 Погода 19.50 Х/Ф "Табор уходит в небо" 21.45"Спокойной ночи, малыши!" 22.00 Время 22.55 Сериал "Леди-Босс" 23.50"Что? Где? Когда?"

**РТР** 09.00 Утренний экспресс 09.55 "Товары - почтой" 10.05"Меморина" 10.30 Клуб "Адреналин" 10.45"Доброе утро страна!" 11.30 В мире животных 12.00 "Вести в одиннадцать" 12.15"Хочу в артисты!" 12.55 Романсиада-97 13.05 Лучшие игри НБА 14.00 Анонимные собеседники 14.30 "Наш сад" 15.00"Вести про..." 15.25 Х/Ф "Уважаемый человек" 16.20"Караоке по-русски" 16.50"Двойной портрет" 17.20"Бесконечное путешествие" 17.50 Легенды Большого 18.45 Футбол без границ 19.15 Телескоп 19.55 Суботний вечер с Ириной Родниной 21.00 "Вести" 21.35"Сам себе режиссер" 22.10 Х/Ф "Мечты на задворках" 00.10 Момент истины 01.05 Репортер 01.20 Программа "А".

## კვირა, 8 ივნისი

**1** 9.00 „9-დან 12-მდე“ 12.00 „მოამბე“ 12.20 „სპა“ 12.50 „რეიტინგი“ 13.00 ექსტრემალური სპორტი 13.50 საბავშვო სტუდია წარმოგიდგენთ 15.05 ტელე-სინე-ვიდეო 16.15 აუდიტორია 16.55 ქართული ტანვარჯიში 100 წლისაა 17.15 გლობუსი 18.00 „მოამბე“ 18.15 აფხაზეთის ტელევიზია 18.55 50X50 19.55 ინტელექტუალური კლუბი 20.45 „როდის“ 21.00 „მსგეფსი“ 21.50 აუდიენცია 22.00 სპორტლოტო 22.10 თბილისი და თბილისელები 22.40 ეპოქა 23.35 სატელევიზიო კინოდარბაზი მხ.ფ. „ნატურა“ 00.20 „ქვიშის საათი“.

**2** 19.00 „ტაიმ-აუტი“ 19.30 მულტფილმები, სპორტული გადაცემა. ვიდეოანონსი, „ვარსკვლავები გვამცნობენ“ 21.55 „ტაიმ-აუტი“ 22.15 რეკლამა 22.30 მხ.ფილმი „სოდომისა და გომორის უკანასკნელი დღეები“ ნაწ. 2 პროგრამის დასასრულს - კონცერტი.

**ОРТ** 08.55 Х/Ф "Таинственная находка" 10.10 Мультфильмы 10.55 Спортлото 11.00, 16.00, 01.20 Новости 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.10 Утренняя звезда 13.00 "Служу России" 13.30"Играй, гармонь любимая" 14.00"Сельский час" 14.25"Подводная одиссея команды Кусто" 15.25"Смехопанорама" 16.15 "Приглашение к музыке" 16.45"Клуб путешественников" 17.35 Мультфейерверк 18.20, 00.10 Теннис. Открытый чемпионат Франции 18.15"Один на один" 19.10 Футбольное обозрение 19.50 Х/Ф "Дом у дороги" 22.00 Время 22.35 Киноафиша 22.40 Сериал "Леди-Босс" 23.40 КВН - ассорти.

**РТР** 09.00 Утренний экспресс 09.55 "Ле Монти" 10.10 Сериал "Солти" 10.35"У всех на устах" 10.50"Доброе утро, страна!" 11.30"Присяга" 12.00"Вести в одиннадцать" 12.15 Русское лото 12.55 Без пяти 12 13.00 "Книжная лавка" 13.25 Человек на земле 13.50"Сад културы" 14.15"Учитель года" 15.00"Вести" 15.20 Х/Ф "Уважаемый человек" 16.25 Волшебный мир Диснея 17.20 "Репортаж ни о чем" 17.35"Довгань шоу" 18.05 Весь мир 18;45 Горячая тема 19.05 Удивительный мир 19.25 L-клуб" 19.55 РТР в гостях у телезрителей 20.10 "Аншлаг" представляет... 20.40 "Ситуация" 21.00"Зеркало" 22.00 Футбол. Отборочный матч чемпионата мира России-Израиль 23.50 "Перпендикулярное кино" 00.50"У Ксюши" 01.20 Кинотавр-97 01.30 Ночная жизнь городов мира 02.00 "Гороскоп и видеомедитация".

## ორშაბათი, 9 ივნისი

**1** 7.30 „ალიონი“ 18.00 „მოამბე“ 18.10 „ორშაბათი მძიმე დღეა“ 18.35 „ექიმის მოსვლამდე“ 18.50 „50X50“ 19.50 „რამპა“ 19.55 რეკლამა, ანონსი 20.00 „მოამბე“ 20.35 რეკლამა 20.40 აუდიენცია 20.50 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“ 21.05 „დღე“ 21.20 „კასანდრა“ 22.05 „ვესტნიკი“ 22.25 ქართული მხ.ფ. „წუთისოფელი“ 00.00 „ქვიშის საათი“.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“ 19.20 მულტფილმები, საყმაწვილო დღიური, სპორტული ესტაფეტა, სახე 21.30 „ინფორმაცია მეორე არხი“ რეკლამა 22.00 მხ.ფ. „თქვენ მხოლოდ ორჯერ ცხოვრობთ“ დასასრულს - კლიპ მიქსი.

**ОРТ** 07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 02.10 Новости 10.15, 19.20 Сериал "Девушка по имени Судьба" 11.00"Человек и закон" 11.25"Поле чудес" 12.20 Домашняя библиотека 12.30, 20.35 Угадай мелодию 13.15 Х/Ф "Дом у дороги" 15.25 Футбольное обозрение 16.20 Мультсериал 16.45 Марафон 15 17.05 "Звездный час" 17.40 Сериал "Гарри - снежный человек" 18.10 До 16 и старше 18.35 Вокруг света 20.10 Час пик 21.00 Спокойной ночи, малышы! 22.00 Время 22.45 Сериал"Полтергеист-2" 23.40"Серебряный шар" 00.25 Х/Ф "Окраина" 02.20 Пресс-экспресс 8.00,

**РТР** 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести. 8.15, 19.15"С добрым утром!" 10.05, 17.25"Клубничка" 10.35"Сам себе режисер" 11.10, 20.00"Санта-Барбара" 12.15 Парламентский вестник 12.45 "Графоман" 13.00 Х/Ф "Визит дамы" 14.15 Анонимные собеседники 14.40 "Ретрошлягер" 14.55 Магазин недвижимости 15.25 Тихий дом 16.05 Иванов, Петров, сидоров и др. 16.45 Аниматека 17.10 Красная книга 18.15 Православный календарь 18.20 Там-там новости. 18.25 Лукоморье 18.50 Посмотри на себя 19.50"Россияне" 19.20"Пульс" 21.35 Добрый вечер с И.Угольниковым. 22.25 Баскетбол НБА Финал 00.35 Дежурная часть 01.00"Адамово яблоко" 01.45"На ночь глядя" 01.35 Товары - почтой.

## სამშაბათი, 10 ივნისი

**1** 7.30 „ალიონი“ 9.00 „კასანდრა“ 18.00 „მოამბე“ 18.05 ანონსი 18.30 ცეკვავს ანსამბლი „ოლიმპო“ 18.50 XXI 19.10 რეტრო პერსპექტივა 19.40 ავტოგრაფი 20.00 „მოამბე“ 20.35 რეკლამა 20.40 აუდიენცია 20.50 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“ 21.05 ლატარია „მეათე“ 21.20 პროგრამა „კამერტონი“ 21.20 „კასანდრა“ 22.00 „ვესტნიკი“ 22.25 „ასპარეზი“ 22.40 „TBC“ 23.50 „ქვიშის საათი“.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“ 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა „გოლი“, „პოდიუმი“, „ეკრანული წყვილები“ 22.00 „ინფორმაცია მეორე არხი“. რეკლამა 22.30 მხ.ფ. „მოკლე ფილმი სიყვარულზე“ პროგრამის დასასრულს - მუსიკა.

**ОРТ** 07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.10 Новости 10.15, 19.15 Сериал "Девушка по имени Судьба" 11.00 "Человек в маске" 11.55 "Смехопанорама" 12.20 Домашняя библиотека 12.30 Угадай мелодию 13.15 Х/Ф "Россия молодая" 14.25 Что? Где? Когда? 16.20 Мультсериал 16.45 Кварьете "Веселая квампания" 16.55 Мультитролия 17.15 Волшебный мир, или Синема 17.40 "Гарри - снежный человек 18.10 До 16 и старше 18.35 Вокруг света 20.10 Час пик 21.45 Спокойной ночи, малышы! 22.00 Время 22.45 Сериал "Неподсуден" 00.25 Мелодии из финальной программы "Песня-96" 01.20 Пресс-экспресс 01.35 Сериал "Счастливый пилигрим".

**РТР** 08.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести 8.15, 9.15 "С добрым утром!" 10.05, 17.25"Клубничка" 10.35 "Караоке по-русски" 11.10, 20.00 "Санта-Барбара" 12.15 Пульс 12.45 "Графоман" 14.55 Магазин недвижимости 15.25 Телетеатр "Картина" 16.05 Иванов, Петров, сидоров и др. 16.45 Образ жизни 17.10 Красная книга 18.15 Православный календарь 18.20 Там-там новости. 18.25 Лукоморье 18.50 Посмотри на себя 19.50 "Россияне" 19.20 Новое пятое колесо 21.35 Добрый вечер с И.Угольниковым. 22.30 Х/Ф "Один и без оружия" 00.35 Кинотавр-97 00.50 Момент истины 01.15 Горячая десятка 02.15 На ночь глядя 2.30 "Товары почтой" 02.50 Телемагазин.

# კაიფვორდი



მწოლიარედ: 1. „ლადაობის“ მოყვარული ხუმარა; 5. „ქურთის“ ორნამენტი; 8. ღორებს რომ ძალიან უყვართ; 9. ზოგისთვის კაკალივით რომ ჩხრიალებს (ანდაზა); 10. მტაცებელი, რომელიც კი „არ წივის“, კივის; 11. ესპანელი „გოიმი“ მხატვარი; 12. ცნობილი მარნის პატრონი; 14. თბილისის დაბლობი; 15. კუთხურობის საზომი ერთეული; 17. მკითხავი ვენესუელიდან; 18. „ჩივის“, მზეზე ვხმებიო; 19. „მიკის ტანიანი“ მეგობარი; 21. „ჯუმბერის“ თბილი ჩასაცმელი; 24. კურდღლის ულლით დამჭერი სომეხი; 25. კუდში მდევარი ადამიანი; 27. ბრძენი დიოგენის სახლი; 28. „იზაურას“ მოკლე სეხნია; 29. ყურმოჭრილი ყმა; 30. შიმშილი სურვილით.

მდომიარედ: 1. გულზე დასადები ქვა; 2. აპრილის „ალმოდებული“ იუბილარი მომღერალი; 3. „ლაყაფისტი“ ჭიშკარი; 4. სამშობიაროს ბებია; 6. ქეიფი, რაშიც დიდია „ქორის წილი“; 7. რაშიც ცეცხლი არ დაიმალება; 9. სოფელი, სადაც ლ.ასათიანის ლექსები „ბარდნის“; 11. „ორი“ კაცის ასაწევი ყურძნის ჩასაყრელი; 13. „ოთარის“ ინსტრუმენტი; 16. ლაქლაქა „ტანია“; 19. „ერის“ მოძულე და მოწინააღმდეგე; 20. „კატების“ საცურაო; 21. ლუკმის ჩასავარდნი; 22. პატარას „ბედაური“; 23. ბავშვის ტკბილეული; 26. შეძახილი ცეკვისას.

ნუნუ ლოლაშვილი


კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60

ფაქსი: 29-49-61

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება მაღალჭერიანი 2 ოთახიანი სუფთა ბინა 40 კვმ რკინის კარებით, სარდაფით, ქუჩის მხარეს აივნით. აქვს ავტოფარეხი. ფასი 12000 დოლარი. ტელ. 61-51-11

იყიდება პრივატიზებული საგარაჯე მიწის ნაკვეთი ავჭალაში. პლასტმასის ქარხნის ნაკვეთების ტერიტორიაზე. არის 2 სართულიანი სახლი. სარდაფით, სადაც მარანია. არის ავტოფარეხი ბეტონით ნაშენები. ფასი 18000 დოლარი. ტელ. 62-24-26 22 სთ-ის შემდეგ

იყიდება 3 ოთახიანი ბინა მეტრო „წერეთელთან“ 41 კვმ მიშენებით + 30 კვ.მ აივნისთვის. ტელეფონით, სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. 3 სართულიანის მე-2 სართულზე, ფასი შეთანხმებით. ტელ. 34-31-09 ან 39-53-21

იყიდება 3 ოთახნახევრიანი ბინა, გარემონტებული უმაღლეს დონეზე, ტელეფონით, მეტრო „სამასი არაგველის“ გვერდით. შავი ზღვის ქუჩაზე, სამხედრო „გარადოკში“. 9 სართულიანი სახლის (მოსკოვის პროექტი) მე-5 სართულზე. ფასი 35000$ ტელ. 74-12-63

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ოთახები 18 კვმ და 19 კვმ სამზარეულო 10 კვმ 1სართულზე, ფანჯრები ქუჩის მხარეზეა. სარდაფი ბინის ქვეშ. ფასი 15000 დოლარი. მისამართი: ვახუშტი ბაგრატიონის ქ.№34 იკითხეთ ირინა

იყიდება 2 ოთახიანი ჩეხური პროექტის სუფთა ბინა. მიშენებული შესასვლელით, V სართული. დენი მუდმივად. ტელეფონით. დიდი ავტოფარეხით. ფასი 16000 დოლარი. ტელ. 72-07-13

იყიდება 3 ოთახიანი ასაწყობი ფინური სახლი. ფასი 3 ათასი $ ტელ. 95-30-47

იყიდება დიდ დიღომში I მკრ-ში სამოთახიანი საშუალო რემონტის ბინა, თუხარელის პროექტი, V სართული, ფასი 16 ათასი $ ტელ. 95-30-47

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის ბინა ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალში. აბაზანა და სამზარეულო კაფელშია. რკინის კარებით, ტელეფონით. ფასი 19000 დოლარი. ტელ. 39-21-12

იყიდება თბილისიდან 12 კილომეტრზე სოფელ შინდისში სამსართულიანი მანსარდიანი, დაუმთავრებელი სააგარაკო სახლი. დახურულია თუნუქით. 600 კვმ ხეხილიანი ეზო. ფასი შეთანხმებით 34-46-11 პავლე ან ლია

იყიდება 2 სართულიანი კაპიტალური აგურით ნაშენი სახლი დიდი ბაღით, ხეხილით, ტელეფონით. მანქანის სადგომით. ფასი საწყისი 58000 დოლარი. ტელ. 61-87-83 ირმა

იყიდება ოთახნახევრიანი ბინა ვაშლიჯვარის დასახლებაში, საუკეთესო ადგილზე, კარგი ხედით V სართულზე ფასი 10000 დოლარი. ტელ. 95-87-72

იყიდება 5 ოთახიანი სუფთა ბინა მუხიანში IV მრ-ში, ფასი 15000 დოლარი. ტელ. 63-69-15

იყიდება 600 კვმ. მიწის ნაკვეთი ნაფეტვრებში უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან 6 კმ მოშორებით. ფასი 500 ლ. ტელ. 51-49-36

იყიდება ვაზისუბანში 1.5 ოთახიანი არასტანდარტული გარემონტებული ბინა ლოჯიით 9 სართულიანის მე-3 სარულზე. რკინის კარებით, ტელეფონით, ჩაშენებული კარადებით, ავტოსადგომით. ფასი 6000 დოლარი. ტელ. 78-61-51; 36-10-17

სასწრაფოდ იყიდება 500 კვმ მიწის ნაკვეთი ზემო ვაკეში. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ. 29-29-43 ნატო

იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ვანში. 9 ოთახი, სამზარეულოთი, ვანა-საპირფარეშოთი. ხეხილიანი ეზოთი. საწყისი ფასი 18000$ ტელ. 39-43-93

იყიდება ან იცვლება 3 ოთახიანი პრივატიზებული სუფთა კუთხის ბინა 8 სართულიანის მე-7 სართულზე. ტელეფონით, სარდაფით. დიღმის მასივში, კინოსტუდიასთან. ფასი შეთანხმებით. გაცვლის შემთხვევაში მხოლოდ საკუთარ სახლზე იზოლირებული ეზოთი თანხის დამატებით. ტელ. 51-76-11 დათო

იყიდება სასწრაფოდ 2.5 ოთახიანი სუფთა ბინა მეტრო „ღრმაღელესთან“ ახლოს. ტელეფონით, რკინის კარებით, სარდაფით. მე-3 სართულზე, ფასი შეთანხმებით. ტელ. 60-72-91 შოთა ან დალი

იყიდება არასტანდარტული 4 ოთახიანი ბინა საერთო ფართი 220 კვმ რემონტით, დიდი სარდაფით, მანქანის სადგომით, ტელეფონით საბურთალოს ცენტრში. ტელ. 37-77-50

იყიდება ვაკეში 2 სართულიანი კაპიტალურად ნაშენები აგურის სახლი. საერთო ფართი 300 კვმ ხეხილიანი ეზოთი (200 კვმ), ოთხადგილიანი ავტოფარეხით, ტელეფონით, სარდაფით. სახლი საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. ტელ. 22-47-98

სასწრაფოდ იყიდება კეთილმოწყობილი 4 ოთახიანი ბინა (3+1) ჩარგლის ქ.№26 ბ. 21 ტელეფონით, რკინის კარებით, ორი საკუჭნაო. საწყისი ფასი 20000 $ ტელ. 60-66-42 გია.

იყიდება საგარაკო სამეურნეო მიწის ნაკვეთი 1200 კვმ სრულმოსავლიანი ხეხილის ბაღით და კაპიტალური სახლი მე-3 სართულზე მანსარდით. თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის ტერიტორიაზე. ფასი 7800 ლარი. შეიძლება გაცვლა თბილისში ორ ან ერთოთახიან ბინაზე. ტელ. 30-34-96 დილით ან საღამოს

იყიდება მეტრო „მარჯანიშვილთან“ 2 სართულიანი სახლი ეზოთი. სახლი კეთილმოწყობილია. ტელეფონით. ბინა გამოდგება ოფისისთვისაც. საწყისი ფასი 25000 $ ტელ. 95-30-47

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ნუცუბიძის ქუჩის ბოლოს, გარემონტებული, ტელეფონით და მანქანის სადგომით. ჭერის სიმაღლე 2.80 სმ. საწყისი ფასი 12000 დოლარი. ტელ. 31-68-01;

იყიდება 1 ოთახიანი ბინა ნუცუბიძის 211-ში რვა სართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ჭერის სიმაღლე 2.80 სმ საწყისი ფასი 7000 დოლარი ტელ. 31-68-01; 31-69-01

## სხვადასხვა

იყიდება პარკეტის ციკლოვკის მანქანა. ფასი 300 დოლარი. ტელ. 95-87-72

უნივერსიტეტის დოცენტი ამზადებს ნებისმიერ მსურველს 14 წლის ზევით ინგლისურ ენაში ბინაზე ან სამსახურში მისვლით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 63-67-34

იყიდება ძეხვისა და სოსისის გამოსაშვები საამქრო, ლიცენზიით. მეტროსთან ახლოს. ფასი 8500 დოლარი. ტელ. 61-52-04; 37-02-62

მოვუვლი 6 წლამდე ასაკის ბავშვს. შემიძლია ბინაზე მისვლაც. ტელ. 94-28-35

იყიდება სვარკის აპარატი „კემპი KPA-KPA-500“ საწყისი ფასი 600$ ფრანგული სუნამო (ნამდვილი) - „ჟოზე“ ფასი 80$ ტელ. 74-61-22

იყიდება XIX საუკუნეში გამოშვებული შავი ფერის გერმანული როიალი „ბლიუტჰერი“ კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-72-98 იკითხეთ დალი

იყიდება გაზ-24 დაშლილ მდგომარეობაში, შავი ფერის, კარგ მდგომარეობაში. ტელ. 74-61-22

იყიდება დიზელ-გენერატორი 25 კილოვატიანი, 3 ფაზიანი, ახალი, ფასი შეთანხმებით. ტელ. 35-38-79 ალიკო; 99-83-32 დიმიტრი

ვიყიდი მაცივარ „კრისტალს“. ტელ. 29-21-36 იკითხეთ მარიკა

## ქირავდება

ვაქირავებ 3 ოთახიან ტელეფონიან ბინას ვერაზე. ფასი თვეში 100 $ ტელ. 23-27-85 აზა

ქირავდება სახლი ბელეტაჟზე მცხეთაში თავისი ეზოთი კომერციული საქმიანობისათვის. ტელ. 37-61-52

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა დიდი ლოჯიით. წყლის გამაცხელებლით, ავტოსადგომით. ტელეფონით, საბურთალოს ქუჩაზე. ტელ. 93-27-49

იყიდება ან ქირავდება 3 ოთახიანი ბინა წყნეთის ქ.№13 VI სართული. ტელ. 95-72-91

ვაქირავებ სარდაფს ათონელის ქ.31 ზანდუკელი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 98-08-15

ვაქირავებ ოროთახიან ბინას უზნაძის ქუჩაზე, იტალიურ ეზოში II სართულზე, ტელეფონით, ავეჯით, ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-18-90

**ხათუნა ბაინდურაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერ მომავალს, ლამაზ სიყვარულს და წარმატებებს მეცნიერულ მოღვაწეობაში.

მეგობრები

---

შპს „გიო“-ს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით (რეგისტრაციის №5ა 14-758) დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: კრილოვის ქ.№3 ტელ. 95-44-57

შპს „ბურო“-ს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით (რეგისტრაციის №5ა 14-49) დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: კრილოვის ქ.№3 ტელ. 95-44-57

შპს „პაულო“-ს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით (რეგისტრაციის №5 14-606) დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: კრილოვის ქ.№3 ტელ. 95-44-57

შპს „რეი“-ს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით (რეგისტრაციის №5ა 14-302) დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: კრილოვის ქ.№3 ტელ. 95-44-57

---

## სამედიცინო ფირმა „მორქინალი-95“-ში

ფუნქციონირებს უახლესი აპარატურით აღჭურვილი თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგიური კაბინეტი. მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების დახმარებით უმოკლეს ვადებში და შეღავათიან ფასებში ხდება კბილების უმტკივნეულო მკურნალობა (დაბჟენვა უმაღლესი ხარისხის ბჟენების გამოყენებით), ამოღება და პროთეზირება.

აგრეთვე, ქირურგიული ჩარევის გარეშე, კიურეტაჟით და მალამოებით ხდება პაროდონტის დაავადებების (გინგივიტი, პაროდონტიტი, პარადონტოზი, სტომატიტი) მკურნალობა.

მისამართი: ასათიანის ქუჩა №12 (მეტრო „გოცირიძე“)
ტელ: 39-31-91

---

ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

## ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

---

გაზეთი „ფაქტი, აზრი, კომენტარი“ იწვევს ახალგაზრდა მანდილოსნებს სარეკლამო აგენტის თანამდებობაზე. ანაზღაურება გამომუშავებით.
მის. მარტყოფის ქ.№7 (მეტრო „ავლაბართან“).
ტელ. 98-85-70

---

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**
**დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41**

---

# ჰოროსკოპი

## 6 - 9 ივნისი

**ვერძი** - ყველაფერში გაგიმართლებთ, ფილოსოფიას თავი დაანებეთ და პრაქტიკული საქმიანობა დაიწყეთ. შაბათ-კვირას საქმიანი შეხვედრები გექნებათ, არჩევანი თქვენზეა. გექნებათ რომანტიული შეხვედრა და დიდი ხნის სურვილსაც აისრულებთ. ოჯახში ახალ ნივთს შეიძენთ.

**კურო** - მიხედეთ ოჯახს, მოერიდეთ აგრესიულობას თქვენს ახლობლებთან. ამ დღეებში შემოსავალი გექნებათ, რომელსაც აღარც კი ელოდით.

**ტყუპები** - თქვენ ყველას უყვარხართ, იმხიარულეთ. საზოგადოებაში გაერთეთ. წარმატება გელით საქმიან შეხვედრებშიც.

**კირჩხიბი** - ჩაუღრმავდით თქვენი ცხოვრების გზას, გადააფასეთ მოვლენები, გაისეირნეთ ქალაქგარეთ, დაისვენეთ.

**ლომი** - საქმიანი საუბრები წარმატებით დაგვირგვინდება, ხოლო პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვან, სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებთ.

**ქალწული** - გაუფრთხილდით ჯანმრთელობას; თუმცა გელით საქმიანი შეხვედრები და თქვენი გამჭრიახობა არ უნდა მოდუნდეს, მაგრამ გირჩევთ რადიკალური განცხადებებისაგან თავი შეიკავოთ როგორც ოჯახში, ასევე სამსახურში.

**სასწორი** - ჩვეულებრივი დღეები გაქვთ, საქმეები გრძელდება, ახლა თქვენზე არცაა დამოკიდებული რა მოხდება, რადგან გადაწყვეტილებას სხვები იღებენ.

**მორიელი** - არ მოერიდოთ საქმიან შეხვედრებს, მოგიწევთ გადაწყვეტილებების მიღება. პირად ცხოვრებაში იქნებ გაგიმართლოთ კიდეც, თუ ზედმეტ აგრესიულობას არ გამოიჩენთ.

**მშვილდოსანი** - მშვენიერი, სიცოცხლით სავსე დღეები გელით. პირად ურთიერთობებში კი მოერიდეთ აგრესიულობას, რადგან ეს ღრმა კონფლიქტის დასაწყისს მოასწავებს.

**თხის რქა** - მიხედეთ ჯანმრთელობას, თუმცა ამ კვირაში ზედმეტი შრომა მოგიწევთ, დიეტა მაინც დაიცავით. განსაკუთრებით ლუდსა და კოკა-კოლას მოერიდეთ.

**მერწყული** - წარმატებას მიაღწევთ შემოქმედებაში, კარგი იქნება მგზავრობაც და მაღალ საზოგადოებაში ტრიალი.

**თევზები** - მიხედეთ ჯანმრთელობას, მიმართეთ დიეტას და მედიტაციას. სჯობს თქვენი საქმიანობა ოჯახში გააგრძელოთ, მიწის ნაკვეთს მოუაროთ ან სახლი დაალაგოთ.

# ლატარეა ყველასათვის

**6 ივნისს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:**

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 269633; | 70 ლარი – *68965; |
| 1000 ლარი – 485551; | 60 ლარი – *02362; |
| 900 ლარი – 305709; | 50 ლარი – *19236; |
| 800 ლარი – 123607; | 40 ლარი – *02091; |
| 700 ლარი – 375342; | 30 ლარი – *16850; |
| 600 ლარი – 576725; | 25 ლარი – **0909; |
| 500 ლარი – 452092; | 20 ლარი – **7381; |
| 400 ლარი – 573503; | 10 ლარი – ***365; |
| 300 ლარი – 262811; | 10 ლარი – ***741; |
| 200 ლარი – 359024; | 10 ლარი – ***228; |
| 100 ლარი – 246036; | 1 ბილეთი – *****3; |
| 100 ლარი – 388323; | 1 ბილეთი – *****5; |
| 100 ლარი – 176638; | 1 ლარი – ***409; |
| 100 ლარი – 468163; | 1 ლარი – ***633; |
| 100 ლარი – 331698; | |
| 90 ლარი – *93294; | 100 ლარიანი ბილეთი №418305 |
| 80 ლარი – *86325; | |

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12–დან – 14 სთ–მდე – 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00–16.00 სთ–მდე. 50 ლარის ზევით 11.00–12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის XXII ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **6838; 3903;** გათამაშებაზე შეუძლიათ 13 ივნისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა **„BMW"** მოიგო ლატარიის ბილეთმა **№177409**.

# პასუხი იქნება... (?!)

ერთ დროს დიდი იმედები ჰქონდათ ქართველ დისიდენტებს დასავლეთის, როგორც კი გამოვალთ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, მაშინვე ნატოს ჯარები შემოვლენ, და საერთოდ, მთელი დასავლეთი გვერდში ამოგვიდგებაო. ახლა უკვე ნათელია, რომ დასავლეთი მაინცა და მაინც არ ჩქარობს გვერდში ამოდგომას. ეს უკვე ეჭვებიც აღარაა და მათ იმედზე ყოფნა თავის მოტყუება იქნება. 5 ივნისს, ქართველ ნაციონალისტთა ერთობის პრესკონფერენციაზე ყოველმხრივ გაშუქდა ეს პრობლემა. მათ მრავალი ფაქტი მოიტანეს ისეთი, რომელიც სერიოზულ საფუძველს იძლევა საიმისოდ, რომ გადაჭარბებით არ შევაფასოთ დასავლეთის მეგობრული მიზნები. გია მამალაძემ განაცხადა, რომ უკვე საკმაოდ პოპულარული გახდა აზრი აფხაზეთის კონფლიქტის „მოწესრიგების" შესახებ, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი და საქართველო თანაბარუფლებიან სახელმწიფოთა კავშირში უნდა გაერთიანდნენ (სხვა დამამცირებელ დეტალებზე რომ აღარაფერი ვთქვათ). როგორ არ გაიხსენოს კაცმა ამა წლის თებერვალში თ.პაატაშვილის ნათქვამი, თუ მსოფლიო გადანაწილების დროს შენ თვითონ არ მოიპოვე ადგილი, მაშინ იმ ადგილს მოგიჩენენ, რომელსაც იმსახურებო. ჩვენს ხელისუფლებას რა აქვს ჩაფიქრებული, არავინ იცის, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ მოვლენათა განვითარებას ერთი ქართველი პოეტის ლექსის სიუჟეტის მიხედვით ელოდეს, მოვა ღმერთი მოქეიფე ქართველებთან და უფეშქაშებს თავის სამოთხეს.

გ.მამალაძის აზრით, თუ ხელისუფლება არ გადაწყვეტს ამ პრობლემებს, მაშინ უახლოეს ხანში პოლიტიკურ აფეთქებას უნდა მოველოდეთ. „აფხაზეთის" პრობლემის გადაჭრა თუ ხსენებული გზით დაიწყო, ამ ლტოლვილებს ველარავინ გააჩერებს. რაც შეეხება დასავლეთს, მისი პოზიცია ძალიან ჰგავს მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთის პოზიციას, ოღონდ ახლა ალამაჰმად ხანის როლს რუსეთი ასრულებსო.

ქართველმა ნაციონალისტებმა შეადგინეს წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, უილიამ კორტნის მისამართით, სადაც დასმულია კითხვა: შეუძლია თუ არა ბატონ ელჩს დაადასტუროს ან უარყოს ხსენებული პოზიციის არსებობა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ამერიკის მმართველ წრეებში. პასუხი პრესაში აუცილებლად გამოქვეყნდება, რამეთუ ყველა ჟურნალისტმა გამოხატა ელჩის პასუხით დაინტერესება. მოინდომებს კი ბატონი ელჩი პასუხის გაცემას?

**პაატა მანჯულაშვილი**

# „დაკვრა მისთვის რელიგიური ექსტაზია"

გუშინ მუსიკისა და კულტურის ცენტრის სიმფონიურ დარბაზში ქართველ ჟურნალისტებს შეხვდა ცნობილი რუსი მუსიკოსი იური ბაშმეტი, რომელიც მონაწილეობას იღებს „თბილისური გაზაფხულის" კონცერტებში.

მისი ზოდიაქოა – მერწყული.

საყვარელი მწერალი – პუშკინი.

საყვარელი კომპოზიტორები: ბახი, ბრამსი, შუბერტი, მოცარტი.

ქართველებიდან – გია ყანჩელი.

„ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ სხვანაირი ვიყავი, ყველაფერი ადვილად გამომდიოდა, თუმცა, ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე. როცა ვხედავდი ეზოში მოთამაშე ჩემს თანატოლებს, მეც მათთან ყოფნა და გართობა მინდოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ გაკვეთილზე უცოდინარი ვერ მივიდოდი, ამიტომ ვიდექი და ვმეცადინეობდი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ უცნაური სურვილები გამაჩნდა ბავშვობაში (მინდოდა ვყოფილიყავი კოვბოი, მცოდნოდა სროლა და კარატეს ილეთები), საბოლოოდ მუსიკის სიყვარულმა მძლია. მუსიკოსობა საკმაოდ ორიგინალურ პროფესიად მიმაჩნია. გარდა იმისა, რომ დაკვრით იღებ დიდ სიამოვნებას, ცნობილი ხარ და თანაც ფულს გიხდიან.

„თბილისურ გაზაფხულში" მონაწილეობის იდეა საკმაოდ უცნაურად გაჩნდა. იდეა მოგვეიდა მაშინ, როდესაც ქართველ მეგობრებთან ერთად ქართულ სუფრაზე ვქეიფობდით". სწორედ მაშინ დავგეგმეთ იმ კონცერტების სერია, რომელსაც ამ დღეებში ისმენენ ქართველი მუსიკის მოყვარულები. კარგი იქნებოდა, რომ სუფრაზე ნათქვამი დაპირებები და გეგმები ყოველთვის გაგვეხორციელებინოს რეალობაში.

მაესტრო ჯანსუღ კახიძემ დიდი მადლობა გადაუხადა მუსიკოსს კონცერტებისათვის და თქვა, რომ მისი ეს ნაბიჯი ნამდვილად დასაფასებელია, რადგან საქართველოში დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე მუსიკოსებს არ უკითხავთ გასამრჯელოს შესახებ, რაც ერთხელ კიდევ იმის მანიშნებელია, რომ ხელოვნება ფულზე არ იყიდება.

ბაშმეტი დაპირდა ქართველ მსმენელებს, რომ მომავალ წელს არანაკლებ საინტერესო პროგრამით ჩამოვა და ხუმრობით განაცხადა, თუ კობზონმა ხელი არ შეგვიშალაო.

ქართველმა მაესტრომ კი თქვა, რომ „როგორც არ უნდა შეიცვალოს პოლიტიკური ამინდი, მუსიკოსები მაინც მოენახავთ ერთმანეთს მსოფლიოში და შევხვდებით თბილისში დო მაჟორში"–ო.

დო მაჟორული განწყობა კი არა მარტო მუსიკოსებს, არამედ ჩვენც, ალბათ, არანაკლებ გვჭირდება.

**ხათუნა აბაზაძე**

# დადაკვორდი



მიყრდნობილად: 1. „ანის ბაზაში გასასროლი ზარი"; 2. „ცერდაცობილი" მწვანილი; 3. „ლიას გამოყუყჩებული", საჭმელი ხილი; 4. „ბოროტი სულების გაციებული" პარადი (რუს.კავშ.); 5. „დის მავთულიანი" ნამუსი; 6. „ნიკას დაკარგული" სახელმწიფო აშშ–ში; 7. „ონში დასახური კაპიკად ღირებული" საწვიმარი; 12. საერთო დომინოს კენჭსა და ინსპექტორს შორის; 17. „თხის ბლავილზე ღელეში" აშენებული ნალია; 20. „ჩვენი ერის ტორიანი" სანათი მოწყობილობა; 22. „მშიშარა" ხილი (რუს.კავშ.); 24. „კაცის სახელობის" მონა, რომელმაც ერთ დროს ქვეყანა დაიმონა; 26. ამ ქალაქს ერთ ასოს თუ მივუწერთ წინ, დიდი გენერლის სახელს მივიღებთ; 27. „მეორე მუსიკალურ ნოტზე დამსიგნალებელი" ცეკვა; 29. „ალას ცეცხლმოკიდებული" დაუმადლებელი; 31. „მომხრე" ქალის სახელი (რუს.კავშ.); 33. „ეს" ნამდვილად ბერძნული ანბანის მეხუთე ასოა (რუს.კავშ.).

მიწოლილად: 8. „ჩვენი ერის რევოლუციის" დროინდელი პისტოლეტი; 9. „მოქიშპე" საკომისიო მაღაზია თბილისში; 10. „ტელეფონში ჩასაძახებელი" სარი; 11. „ქარში" საჭმელი ტკბილეული; 13. ნამგალის „ბრატი"; 14. „მოსისინე" ყულის ნაწილი; 15. „ორი ერთი და იმავე მუსიკალური ნოტისგან შემდგარი" ბავშვების საჭმელი; 16. „განზე" იარაღის მსროლელი ბანდიტი; 18. „რე–ს გაქცეული" აღგზნება; 19. „შენი მულის" მიერ მიცემული ბიძგი (ნაწ.რუს.კავშ.); 21. ის, რაც „ვირის გაგდების მიზნით გამოწვეულ წამოძახილზე" უნდა გაიკეთო, დიფტერიის საწინააღმდეგოდ; 23. „ვალში გადავარდნილი" ტყე; 25. „ტატას უბრალო" წინამდებარე ჯირკვალი (რუს.კავშ.); 28. მთები აზიაში, რომელიც „ცოტაა" (რუს.კავშ.); 30. „ელეს მეორე მუსიკალურ ნოტზე" ჩართული ავტომატური ხელსაწყო; 32. „შენ" თვითონა ხარ ეს „ორთქლიანი" მუქთახორა (რუს.კავშ.); 34. ის, რაც ამეთვისტოს უნდა მიეცა მეხუთე მუსიკალურ ნოტზე დაკვრით (კინოფ.); 35. „ზვირთი", რომელიც საერთო აქვთ რადიოს სიხშირეს და ზღვას; 36. გაზზე არ ვგულისხმობ, უბრალოდ... მონასტერი.

კობა ბაიდოშვილი


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ., №06/4-444